პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ბ. ა. ბ.
ცენტრ. და ობლასტის კომი. ტეტის და სრულ. საბჭო. მ., ს., ს.-აზრ. და მაბარლისთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის ბრ., № 24 მე-2 სართული).

ფასი 10,000 ერთგული ბიბლიოთეკა

პროვინციაში 12,000 მან.

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ.—10 ათ. მ. ნომბარელის სტრიქონი. ხამგლოვიანი განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

№ 194 პარასკევი, 25 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი
პარასკევი, 25 აგვისტო 1922 წ. № 194

დღეს, პარასკევს 25-ს მუშაობის დამთავრების შემდეგ იარეიკებზე მიმაგრებული ამხანაგები მართავენ საერთო კრებებს უწყებულ წარმოების მუშებისას.

დღის წესრიგი:

„ცალკე კავკასიის არმიის ისტორია“.

ყოველმა წარმოებამ უნდა გამოყოს დელეგაცია, რომელნიც შაბათს 26 აგვისტოს დილის 10 საათისათვის უნდა დაესწრონ არმიის ნაწილების პარადს (ერევნის მოედანზე).

ყოველი რაიონის დელეგაცია 26 აგვ. დილით იკრიბებიან რაიკომებში, იმ ანგარიშით, რომ დილის 10 საათისათვის მოახსწრონ მისვლა პარადის ადგილზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

ამცნებ აუწყებს იმ ამხ. სტუდენტ-სტიპენდიანტებს, რომელნიც იგზავნებიან რუსეთში, სწავლის დასამთავრებლად, რომ მათი გაგზავნა მოხდება

ამა წლის 2 სექტემბერს

30 აგვისტოს ყველა მათგანი თბილისში უნდა იყვეს.

ყოველ გვარი ცნობების მიღება შესაძლებელია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**

3—1

ქალაქ თბილისის საბჭოს ყველა წევრებს

თბ. საბჭოს პლენუმის

ა. წ. 14 აგვისტოს დადგენილების თანახმად, თბილისის საბჭოს ყველა წევრები ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აღმასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთ სექციაში, რომელსაც თვითონ საბჭოს წევრი ამოირჩევს, და ამიტომ აღმასრულებელ კომიტეტის სამდივნომ შეუდგა ჩაწერას და სთხოვს საბჭოს ყველა წევრებს ჩაეწერონ სამდივნოში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა.

ჩაწერა სწარმოებს 10 სექტემბრამდე.

საბჭოს მდივანი **ბ. ხუნდაძე.**

№ 196. 4—2

ვერსალი და რაპალო

ინგლისური გაზეთი „მორინგ პოსტ“ ამას წინედ მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ვერსალის ხელშეკრულებას თანდათან ეცლება ნიადაგი, მაშინ როცა რაპალოს ხელშეკრულება ძალაში რჩებაო.

სრული სიმართლის აღიარებაა. ვერსალი, როგორც დღემდე გაუგონარი ძალადობის ნაყოფი, რომელიც მიზნად ისახავს ერთ უდიდეს და კულტურულად ხალხის დამონებას და გაცარცვას, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ცხოველმყოფელი და ხანგრძლივი.

ვერსალი უმძიმეს ტვირთად დასწოლია თანამედროვე ევროპას და ლამის არის მთელი მისი ცხოვრება სრულ განადგურებამდე მიიყვანოს. სანამ ძალაში არის ვერსალის ავიზაკური ხელშეკრულება, მანამდე ლაპარაკიც კი შეუძლებელია ევროპაში მშვიდობიანობის ჩამოგდებასა და სამეურნეო ცხოვრების აღორძინებაზე. ეს ხელშეკრულება გატენილია დიდ ძალი ასაფეთქებელი მასალით, რომელიც ყოველთვის მზად არის, ამა თუ იმ შემთხვევის დროს აფეთქდეს, სისხლის ღვრა გამოიწვიოს და ერთიანად წალეკოს ისედაც აფორიაქებული ცხოვრება. ეს სავსებით დაამტკიცეს უკანასკნელმა ამბებმაც, საფრანგეთ-გერმანიის ურთი-ერთობის გამწვავებამ, ლონდონის თათბირმა, რომელიც სრული კრახით დამთავრდა. ეს კრიზისი ჯერაც არ მოგვარებულა ტ დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. ერთი კი ამ თავითვე ცხადია, სახელდობრ ის, რომ იმპერიალისტური ომის შედეგების ლიკვიდაცია და ევროპის მეურნეობის აღდგენა, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი კაპიტალისტური წყობილების პირობებში, რამოდენიმედ შეიძლება არა ერთმანეთის ცარცვით, არა ვინმეს, ამ შემთხვევაში გერმანიის დამონებით, არამედ ხალხების ინტერესების შეთანხმებით ტ საქმიანი თანამშრომლობით.

ასეთ ერთად ერთ სწორ გზაზე იმ თავითვე დადგა საბჭოთა რუსეთი, აკეთკენაა მიმართული მუშურ გლეხურ მთავრობის მთელი პოლიტიკა, კერძოდ ამას მოითხოვდა ჩვენი დელეგაცია გენუის და ჰაგის კონფერენციებზე.

ჩვენ ვიცით, რომ, მიუხედავად დიდი უთანხმოებებისა, რომელსაც ადგილი აქვს მმართველ ბურჟუაზიულ წრეებში, ევროპის აღდგენის საშუალებათა გამონახვის საკითხში, ჯერ-ჯერობით მაინც უკიდურესი იმპერიალისტური და მტაცებლური ჯგუფები იმარჯვებენ, რომელნიც ცდილობენ თავიანთი ბედნიერება ააგონ სხვების, კერძოდ გერმანიის და რუსეთის დამონებასა და მათი უსაზღვრო ექსპლოატაციაზე.

მხოლოდ გერმანია გახდა იძულებული თავისი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობით რუსეთის მიერ ნაჩვენებ გზას დასდგომოდა და ამ უკანასკნელთან დაედო ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ანგარიშს უწევს ორივე ქვეყნის ინტერესებს. ჩვენ ვამბობთ რაპოლოს ხელშეკრულებაზე. ბევრი მწარე გაკვეთილის გადატანა დასჭირდა გერმანიას, რომ მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობა იმ თავითვე ფიქრობდა, რომ ანტანტისადმი ლოიალური და მონური პოზიციით შეესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის მდგომარეობის შემსუბუქება. გერმანიის მთავრობა თავის მთავარ დანიშნულებას ვერსალის ხელშეკრულების სისრულით შესრულებაში ხედავდა. მაგრამ ასეთმა პოზიციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, ბერლინის მთავრობის ლოიალობამ ჰუმანიური გრძნობა კი არ გაუღვიძა ანტანტის მგლებს, არამედ უფრო გაუხსნა მადა, და გერმანიის ხალხს სრული ჩამოხრჩობა დაუპირეს. ამან აიძულა გერმანიის მთავრობა დასთანხმებოდა რუსეთის წინადადებაზე—ორივე მხარისათვის სასარგებლო ხელშეკრულების მიღებაზე. მაგრამ უნდა ითქვას აშკარად, რომ რაპალოს ხელშეკრულებას სერიოზული დაბრკოლებები ელობება წინ. ჩვენ გვახსოვს, თუ რა განგაში ასტეხეს ვერსალის ავტორებმა ამ ხელშეკრულების დადების გამო, იმათ ამაში საფრთხე დაინახეს, ისინი დღესაც სცდილობენ მისი განხორციელების შეფერხებას. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მთავრობა ამ საკითხში ვერ იჩენს საჭირო სიმტკიცეს. მას ჯერაც ვერ უთქვამს უარი ძველ, ლოიალურ პოზიციაზე ანტანტის მიმართ და ეშინია რუსეთთან თანამშრომლობის. ამ მხრივ საყურადღებოა კრასინის განცხადებაც: „რაპალოში დადებულმა ხელშეკრულებამ, სამწუხაროდ, ვერ მოგვცა ხელსაყრელი შედეგები, როგორც ამას მოელოდნენ ზოგიერთი ოპტიმისტები. ეს მოხდა ნაწილობრივ იმიტომ, რომ გერმანიის საქმიანი წრეები აღმოჩნდნენ გადაჭარბებულად გაუბედაევი და მხდალნი. ხელშეკრულების დადებამ გამოიწვია ანტანტის, უმთავრესად მისი ფინანსიური ორგანიზაციების მხრით ზედ გამეფება გერმანიაზე. ამის გამო თითქმის უფრო გაძნელდა სავაჭრო ურთიერთობა, ვინმ ეს იყო რაპალოს ხელშეკრულების დადებამდე. გერმანია ამ ჟამად სრულიად არ არის დამოუკიდებელი. მას არაფერი შეუძლია და არ სურს გააკეთოს ანტანტის თანხმობის გარეშე. ამიტომ იყო შემთხვევები, როცა გერმანიის მრეწველები უარს ამბობდენ ფრიად საინტერესო კონცესიებზე, რომლებზედაც თანხმდებოდნენ ვერსალის ხელშეკრულებამდე“.

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რუსეთი ცდილობს ხორცი შეასხას ამ ხელშეკრულებას, კიდევ მეტი: გაავრცელოს მისი მოქმედების სფერო ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებზედაც. რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელმა გერმანიაში, ამხ. კრესტინსკიმ, როცა ის წარუდგა ამას წინედ პრეზიდენტ ებერტს, თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ამის საჭიროებას. ებერტიც დაეთანხმა ამ წინადადებას და აღუთქვა სრული დახმარება.

რაპალოს ხელშეკრულების გამტარებელი კომისია ისევ შეუდგა მუშაობას. ბერლინში ამ ჟამად, როგორც გერმანიის თმილისელ საელჩოს წარმომადგენელ მოქ. ჰესსესთან საუბარიდანაც სჩანს, სწარმოებს მოლაპარაკება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან ხელშეკრულების დადების შესახებ. რაპალოს ხელშეკრულების და ამ მოლაპარაკების გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თბილისში ჩამოსული არიან გერმანიიდან სამრეწველო წრეების წარმომადგენელნი; ამასთან გერმანიის და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა გამოცვლა ასე თუ ისე მოგვარებულია გერმანიის გემები საქონლით რეგულარულად დადიან ჩვენს ნავთ სადგურებში.

ამიერ-კავკასიის ეკონომიურ უთიერთობის გაჩაღებას გერმანიასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისათვის. ჩვენ გვესაჭიროება გერმანიის ინდრუსტრიის პროდუქტები, ხოლო აქედან სამაგიეროდ შეგვიძლია მივაწოდოთ ნედლი მასალა შავი ქვა, და სხ.

მხოლოდ საჭიროა, რომ გერმანია უფრო გაბედულ გზას დაადგეს, მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ მისი ხსნა არა ვერსალის პირობების უსიტყვო ასრულებაშია, არამედ საბჭოთა ქვეყნებთან დაკავშირებაში, მათთან სამეურნეო დამოკიდებულების აღდგენასა და გაფართოებაში.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲠᲙᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ამ ჟამად თბილისში, ბათუმში და სამაზრო ქალაქებში ტარდება შრომის ხარკის ნატურით მოხდის მაგივრათ ფულის აკრეფა. როგორც ვიცით შრომის ხარკი შემოღებულ იქნა ამა წლის 1 თებერვლიდან. მისი ნორმა გამოანგარიშებულია წელიწადში ექვსი სამუშაო დღით, განუსაზღვრელი ბეგარების მაგივრათ, რომელნიც სოფელში აღწევდენ წლის განმავლობაში ერთი შრომის უნარ მამაკაცებზე მთელ თვეს და კიდევ მეტს სამუშაო საქონელზე. შრომის ხარკი უნდა მოიხადოს ყველამ თავის პირადი შრომით და გადასდვას სახელმწიფოს სასარგებლოთ სამუშაოს შესრულებისათვის წელიწადში მხოლოდ ექვსი დღე. ხარკი ვრცელდება მხოლოდ იმათზე ვისაც სახელმწიფოსათვის პირდაპირი სარგებლობა არ მოაქვს და არ მსახურობს სახელმწიფო წარმოება—დაწესებულებებში. სოფლათ შრომის ხარკის ჩატარება სწარმოებს ნატურით. იქ უკვე ნახევარი ნორმა ანუ სამი დღე უმეტეს ნაწილათ შესრულდა, დარჩა კიდევ სამი დღე რომელიც უნდა შესრულდეს დეკემბრის ბოლო რიცხვებამდე. ხარკის საშუალებით ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, მაგალითად: მთელი რიგი სარწყავი არხები, რომელნიც უკვე მუშაობენ; გზატკეცილები, რკინის გზების შესწორება (კახეთში), სხვა და სხვა სატყეო მასალის დამზადება და გადაზიდვა, საჭირო ტვირთის (სათესლე მასალა, სასურსათო გადასახადი) გადაზიდვა და სხვა.

ქალაქებში შრომის ხარკის ნატურით მოხდა ტეხნიკურათ მოუხერხებელი შეიქნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქის მცხოვრებლები განთავისუფლებული უნდა იქნან სრულიად ხარკისგან და ამით მათ მიეცეთ ერთგვარი უპირატესობა სოფლელების წინაშე. საბჭოთა უფლება არ დაუშვებს ისეთ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ქონდა წინეთ, როდესაც მარტო სოფლებს აწვათ კისერზე მთელი სიმძიმე აუარებელი ნატურალური ბეგარებისა, მაშინ როცა ქალაქელს არაფერი აწუხებდა სეირნობის მეტი.

ამიტომ ქალაქის მცხოვრებლებზედაც გავრცელებული იქნა შრომის ხარკი—ექვსი დღე წელიწადში, მაგრამ მათ შეეცვალათ შრომის ხარკის პირადათ მოხდა ფულის გადასახადით. ნორმა ამ გადასახადისა უდრის მოსახდელ ექვსი სამუშაო დღის ღირებულებას, რაც ამ ჟამათ შეადგენს 500 ათას მანეთს (დღიური შავი მუშის დაქირავება დღეში ღირს დაახლოვებით 80 ათასი მან.) ეს გადასახადი უნდა გადახდილი იქნეს ქალაქში მცხოვრებ ყველა შრომის უნარიან მამაკაცების მიერ (18—50 წლამდე), გარდა პროკ. კავშირების წევრებისა, უმუშევრებისა, მოწაფეებისა, ინვალიდებისა და სოციალურ უზრუნველყოფილ პირებისა. აღსანიშნავია, რომ ამ გადასახადისაგან არ თავისუფლდება უცხო სახელმწიფოს ქვეშემრდომები, გარდა მისიების წევრებისა, რომელნიც სარგებლობენ ექსტორიტორიალური უფლებით.

ეს სრულიად სამართლიანია. შრომის ხარკის მოხდის მხრივ ყველა, ვინც ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სარგებლობს მისი მიმოსვლის საშუალებებით და სხვ., თანაბარი უნდა იყვნენ მკვიდრ მცხოვრებთან ერთად ამ მოვალეობის მოხდაში.

შრომის ხარკის ნატურით გასწორების მაგიერ შემოსული თანხები ხმარდება სამეურნეო ორგანოებს და ქალაქის აღმასკომებს ქალაქის სხვა და სხვა საჭიროებათათვის.

თბილისის აღმასკომს, მაგალითად, განზრახული აქვს მოაწყოს ამ თანხებით ავეალაში ჰიდრო-ელექტრონის სადგური (მუშაობას უკვე შეუდგა).

ცხადია, რომ შრომის ხარკის ჩატარება ქალაქებში მოითხოვს ყურადღებას და ყოველ მხრივ დახმარებას. მას აქვს ორნაირი მნიშვნელობა: ერთი მხრივ ამით ის ხელს შეუწყობს ქალაქების აღორძინებას, გაშშვენიერებას და მეორე მხრით სოფლელების და ქალაქის მცხოვრებთა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე ამით თანასწორდება.

ხ. გოდაბრელიძე.

მუუტი მარცხნივ...

(„როტე ფანე“-ს შეჩერების გამო)

როდესაც გერმანიის რეიხსტაგი არჩევდა კანონს რესპუბლიკის დაცვის შესახებ, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო რეაქციონერების წინააღმდეგ, ჩვენი ამხანაგები სამართლიანათ გამოდიოდნენ პროექტის წინააღმდეგ, ხედავდნენ რა მასში საფრთხეს რევოლიუციონური მუშაობისა და მათი პარტიისათვის. დაუმახინჯებლათაც, როგორი ფორმითაც ის იქნა საბოლოოთ მიღებული, ეს კანონი შეიცავდა გარკვეულ მუქარას კომპარტიის მიმართ. ცხადი იყო, რომ მისი ზემოქმედების ობიექტათ უნდა გაახდარიყვნენ სწორედ ჭეშმარიტი მებრძოლნი რესტოვრაციის წინააღმდეგ. ასეთი შეფასება კანონის მაღე გამართლდა, მოლოდინმა უფრო ადრე მიიღო რეალური სახე, ვინემ ეს საფიქრებელი იყო. იმ ცნობების თანახმად, რომლებიც დაიბეჭდა და იბეჭდება დღესაც ჩვენ გაზეთში, გერმანიის კოალიციონურმა მთავრობამ სამი კვირით შეაჩერა ცენტრალური ორგანო კომუნისტური პარტიის, „როტე ფანე“ და მით ერთხელ კიდევ გამოააშკარავა როგორც მისწრაფებანი ამ მთავრობის და მისი უმთავრესი ყავარჯენის, შეიდემანელთა (გერმანიის მენშევიკების) პარტიის, ისე ნამდვილი ხასიათი მიღებული კანონის. ერთი პირველ მუშტთაგანი, რომელიც განზრახული უნდა ყოფილიყო რესტოვრატორების წინააღმდეგ, შეიქნა დარტყმული მარცხნივ და ამ გარემოებამ გამოიწვია სრულიათ ბუნებრივი აღშფოთება რევოლიუციონერ მასებში. რადიო მოგვითხრობს დემონსტრაციების შესახებ ამ აქტის წინააღმდეგ საპროტესტოთ. პრუსიის პალატაში ჩვენმა ამხანაგებმა შეიტანა შეკითხვა ამ რეპრესიული ზომის შესახებ. როგორი პასუხიც არ უნდა გასცეს შეკითხვაზე პრუსიის შინაგან საქმეთა სოციალ-დემოკრატიულმა მინისტრმა ერთი კვლავ აშკარათ ხდება, რომ რესპუბლიკის მთავრობას მეტი შიში აქვს რევოლიუციონერი გამოსვლების და ეს გამოსვლები უფრო საშიშოთ მიაჩნია მას თავის მდგომარეობისთვის, ვინემ მონარქისტების, რომლებთანაც ის რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების შემთხვევაში მაღე იპოვნის საერთო ენას და საერთო ძალით მიუბრუნდება მუშათა მთავრობის ინიციატორებს გერმანიაში. და ეს დამახასიათებელია რესპუბლიკის შინაური მდგომარეობისათვის დღეს. ერთად ერთი ჭეშმარიტი მებრძოლი გერმანიის მონარქისტების წინააღმდეგ არის რევოლიუციონური მუშები კომპარტიის მეთაურობით, თუ როდისმე შეუსაბამს ხორცი ლასალის ცნობილ აზრს ერთიანი რეაქციონური მასის შესახებ, ეს ითქმის უეჭველად დღევანდელი გერმანიის ვითარებაზე და იქ მებრძოლ ძალებზე, რომლებიც მოქცეული არიან ორ ერთი მეორის აშკარად დაპირისპირებულ პოლიუსებზე. გადამწყვეტი ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ დღევანდელ გერმანიაში და (ხვაგანაც) შეუძლია მხოლოდ ჩვენ პარტიას და მისი გამარჯვება იქნება დამარცხება არა მარტო კაიზერის ავანტიურის, არამედ თვით რესპუბლიკანური მთავრობის და შეიდემანელების. აქეთკენ მივყეგართ საბოლოოთ ამბების განვითარება გერმანიაში. X.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲡᲞᲝᲠᲢ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲔ-2 ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ამ დღეებში ბერლინში დამთავრდა წითელ სპორტ-ინტერნის მე-2 კონგრესი.

კონგრესს დაესწრენ: რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, იტალიის, სკანდინავიის სახელმწიფოების, სერბიისა და რუმინიის წარმომადგენლები. ამ კონგრესზე ვამოირკვა თუ რაოდენათ მნიშვნელოვანი და მძლავრი მუშაობა უწარმოებია წითელ სპორტის საგიმნასტო ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირს.

რუსეთის მუშებს შეუძლიათ აღნიშნონ, რომ ბურჟუაზიის გავლენა სპორტის მოძრაობის სფეროში სავსებით დათურგვნილია და მთელ ამ მოძრაობას, როგორც ორგანიზაციულ წყობაში, ისე პრაქტიკულ მუშაობაში, აქვს ნიშანი წმინდა პროლეტარული კულტურისა.

გერმანიაში, კონგრესის გერმანელი წარმომადგენლები აწარმოებენ მძიმე ბრძოლას ლიუცერნის ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

ისინი შეასრულებენ თავის ამოცანას, ისინი გადააქცევენ გერმანიის სასპორტო მოძრაობას კლასიური ბრძოლის იარაღად და გახდიან გერმანიის მუშურ სასპორტო მოძრაობას პროლეტარული კულტურის საფუძვლად.

საფრანგეთის წარმომადგენლებსაც ასეთივე ამოცანა აქვთ დასმული. იქაც დიდი გავლენაა ლიუცერნის, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც შესაძლებელია აღნიშნულ იქნეს ის, რომ ეს გავლენა თანდათან სუსტდება და ჩქარა სავსებით მოსპობილი იქნება. სპორტსმენ—მუშების ფედერაციის მომავალ კონგრესზე პარიზში, უმრავლესობა ოფიციალურად მიემხრობა წითელ სპორტინტერნს.

ჩეხო-სლოვაკიაში სასპორტო ორგანიზაციის დიდი უმრავლესობა (150.000 სპორტსმენამდე) მიემხრო წითელ სპორტინტერნს. აქ კომუნისტ სპორტსმენებმა საზღვარი გაავლეს თავისა და ლიუცერნის მომხრეთა შორის. საბჭოების გავლენის გამო სასპორტო მოძრაობა ჩეხო-სლოვაკიაში წარმატებით მიმდინარეობს, რისი დამამტკიცებელიც არის სასპორტო-პროლეტარულ ორგანიზაციების იდეალურად მოწყობა. ჩეხოსლოვაკიის სექციაც დიდი და ძლიერი დამხმარე ორგანიზაციაა წითელი სპორტ ინტერნისა.

ნორვეგიაში 10.000 სპორტსმენი მუშა წითელი სპორტ ინტერნის მომხრეა.

შვეიცარიაშიც ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ნორვეგიაში, მაგრამ მოსამზადებელი მუშაობა აქ საიმედო და ენერგიული ამხანაგების ხელშია და ისინი იმედოვნებენ, რომ ამ ახლო მომავალში ისინი ოფიციალურად შეუერთდებიან წითელ სპორტინტერნს.

ფინლიანდიაში მუშური სასპორტო მოძრაობა ძლიერათ არის განვითარებული, მაგრამ აქ ლიუცერნის გავლენაც დიდია. მაგრამ ჩქარა ეს გავლენა საგრძნობ დამარცხებული იქნება, რადგანაც ახალგაზრდობა და მოზარდი თაობა ერთხმად მიყვებიან მუშურ სასპორტო ორგანიზაციებს.

სერბიიდან ჩვენ კარგი ცნობები მოგვდის. იქ ძალიან აღფრთოვანებული მოძრაობაა წითელი სპორტ-ინტერნის სასარგებლოთ და თუმცა სერბიელების სექცია მცირე-რიცხოვანია (3.000 კაცი). მაგრამ იგი წარმოადგენს სერიოზულ ჩანასახს ბალკანეთში მუშური სასპორტო მოძრაობისას.

რაც შეეხება იტალიას, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქ სრულებით არ ყოფილა არავითარი სასპორტო მოძრაობა. მთელს იტალიაში დიდის აღფრთოვანებით შეეგებენ პროლეტარები. წითელ სასპორტო-საგიმნასტო ორგანიზაციების საერთაშორისო ცენტრალურ ბიუროს მოწოდებას.

ისინი თანდათან რწმუნდებიან სპორტსმენების საერთაშორისო მუშურ სასპორტო ორგანიზაციაში გაერთიანების აუცილებლობაში, რაიც გამოწვეულია მუშათა კლასის ინტერესებისაგან.

რუმინიაში დიდი მუშაობაა გასაკეთებელი. აქ არსებობს მხოლოდ უმნიშვნელო ჩანასახი სასპორტო მოძრაობისა. ნაკლებობაა პროპაგანდისტებისა.

დანიაში სპორტსმენების ცენტრალური კავშირი იქამდისაც კი მივიდა, რომ კავშირის თავმჯდომარეთ აირჩია გენერალი, და ეს გარემოება იწვევს ძლიერ ოპოზიციას მუშა სპორტსმენების მხრივ, რითაც სარგებლობენ ჩვენი ამხანაგები პირველ დაწყებითი მუშაობის დაწყებათ.

ეი შედეგები ერთი წლის მუშაობისა.

საფუძველი უფრო ძლიერი და მტკიცე აღმოჩნდა, ვინემ ამას ოპტიმისტები მოელოდნენ.

კონგრესმა დიდი ყურადღება მიაქცია პრესის, კავშირისა და ფინანსების საკითხებს.

წითელი სპორტინტერნის პრეზიდიუმში აირჩიეს: რუსეთისაგან: ნ. პოდვოისკი, გორინი, გოლუბიატნიკოვი და გ. ერმანი; გერმანიისაგან: ბრუნო, ლისკე და ფრენცელი; საფრანგეთისაგან: ბლენარდი; ჩეხოსლოვაკიიდან: ფირდინანდ და ფრანკი; ნორვეგიიდან—ტორზენი; ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალიდან: რეისნერი; თავმჯდომარეთ არჩეულია ნ. პოდვოისკი, მდივნათ—გ. ერმანი.

მდგომარეობა გერმანიაში

(გერმანიის ხალხის წარმომადგენელ მოქ. ჰესსენსთან საუბრიდან*)

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს ტფილისში მყოფ გერმანიის საელჩოს წარმომადგენელმა ჰესსემ განაცხადა:

— გერმანიის მდგომარეობა ამჟამად მეტად მძიმეა. მარკის კურსის დაცემა, რომელიც გამოწვეულია საფრანგეთის საზღვარდაუდებელ მოთხოვნილებით, მეტად ცუდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. პუანკარეს მთავრობას სამართლიანად შეეძლება ვიწოდოთ ვიწრო მილიტარისტულ—შოვინისტური ჯგუფი. საკირველი ესთვლი აღვნიშნო, რომ საფრანგეთის მცხოვრებნი და მუშები გერმანიისადმი ძმულვარებაში არ აღწევენ იმ საზღვარს, სადამდეც მიაღწიეს მმართველმა წრეებმა. მაგრამ, პუანკარეს მთავრობა ჯერ კიდევ თავის ადგილზეა, ძნელია ვიფიქროთ რომ იქ მოხდება რაიმე ცვლილება. საფრანგეთმა თავის საკონტრიბუციო საკითხში მიაღწია უმაღლეს წერტილს. ის ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ გერმანელს ის რის მიცემაც მას შეუძლია. გერმანიის განადგურების პოლიტიკა დამახასიათებელია, ვინაიდან იგი გამოხატავს შიშს თავის მოსავლისადმი. საფრანგეთს აშინებს გერმანიის მხრივ რევანშის შესაძლებლობა. ინგლისი ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის თამაშობს მეტად მცირე როლს.

— ერთის მხრივ იგი არ არის მომხრე საფრანგეთის პოლიტიკისა, ე. ი. გერმანიის მოქმედების უნარიანობის სრული დამონავების და განადგურების პოლიტიკისა, მაგრამ თავისი ეგოიზმის ძალით, იგი არ ამბობს თავის გაბედულ სიტყვას ამ პოლიტიკის შეწყვეტის სასარგებლოდ.

მიუხედავათ შექმნილ მდგომარეობისა,—განაგრძო მოქ. ჰესსემ, გერმანიის მრეწველობა აყვავებულია, ინდუსტრიალური ცხოვრებაც თავის რიგზე მიმდინარეობს; მაგრამ არის ნედლი მასალის მარაგი, მუშაობა გაცხოველებული იქნება.

ნედლი მასალის საზღვარ გარედ შეძენა ამ ჟამად შეუძლებელია მარკის კურსის დაცემას გამო. მაგრამ მრეწველობა საბოლოოდ არ შეჩერდება — ხელშეკრულება რუსეთთან, რომელსაც აქვს ნედლი მასალის აუარაცხელი მარაგი, შინაური ცხოვრების საერთო გაუმჯობესება, ტრანსპორტის მოწესრიგება—ყველაფერი ეს აძლევს იმედს გერმანიას იმაში, რომ მისი გაჯანსაღება შესაძლებელია. უმუშევართა პროცენტი გერმანიაში დიდი არ არის—იგი უდრის 2 პროც. ს. ეს ციფრი თითქმის ნორმალურია.

მეგობრული კავშირი რუსეთთან—არის გამოსავალი იმ საშუშარო სინამდვილიდან, რომელიც დღეს გერმანიაში არსებობს, რუსეთთან ერთად აყვავდება გერმანია. გერმანიის მუშები ითვლებიან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმთავრეს ფაქტორად. რეაქციონერები გერმანიაში ცოტაა. ესენი არიან ყოფილი ოფიცრები, რომელნიც უადგილოდ დარჩენ. ისინი ხმაურობენ—მაგრამ არავითარი გავლენა არა აქვთ... გადატრიალების მოხდენა მათ არ შეუძლიათ. ხალხის მასები მათ არ გაჰყვებიან. გადატრიალებას ყოველთვის ახდენდენ მუშები და ეს მუშები ყველა რესპუბლიკანელები არიან და ყველა მონარქიული გამოსვლები გერმანიაში წაიაგავს აქაურ მენშევიკებს ჩხუნკალს, ამ გვარად მონარქისტების გამოსვლა გერმანიაში ძალიან ძნელი მოსახერხებელია. რაც შეეხება გერმანიის მუშების უზრუნველყოფას, ისინი ამ ჟამად უკეთ არიან უზრუნველყოფილნი, ვიდრე მოსამსახურეები და მოხელეები. მოსამსახურეებს აქვთ იმისი შეოთხედი რაც ქონდათ წინად.

გადავიდა რა გერმანიის უთიერთობის საკითხზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან, მოქ. ჰესსემ აღნიშნა, რომ ბერლინში ამ ჟამად სწარმოებს ინტენსიური მოლაპარაკება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან ხელშეკრულების დადების შესახებ. ახლო მომავალში ეს მოლაპარაკება დადებითად დამთავრდება. ჯერ-ჯერობით საქონლის გაცვლა-გამოცვლა საქართველოსთან სავსებით მოწესრიგებულია.

გერმანიის გემები, რომელნიც დატვირთულნი არიან მანუფაქტურით, მანქანებით, ელექტრონის მოწყობილობით და სხვა რეგულიარულად მოდის ფოთში და ბათუმში.

საქართველოდან გააქვთ შავი ქვა, მანქანის ზეთი, და სხვა საქონელი. ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდა ელექტრონის მსხვილი კომპანიის სიმენსის და შუკერტის ფირმის წარმომადგენელი ინჟენერი კვისერი, ელექტრონის ფაბრიკების და ქარხნების მოსაწყობად.

ტ—ლი.

(„ზ. ვ.“)

*) თუმცა ჩვენ არ ვიზიარებთ მოქ. ჰესსეს აზრს რეაქციის ძალების შესახებ გერმანიაში, მაგრამ ვათავსებთ მასთან საუბარს, როგორც საინტერესო პოლიტიკურ დოკუმენტს.

რედ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

(„კავკასია“)

გერმანია და ანტანტა.

პუანკარეს სიტყვა

რომი. 23 აგვისტო (რადიო) ადგილობრივ გენერალურ საბჭოების გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ მოკავშირეებმა დაჰკარგეს სოლიდარობის გრძნობა.

ინგლისის პოლიტიკამ, რომელიც ეწინააღმდეგება საფრანგეთის სურვილებს წარმოშვა სამწუხარო გაუგებრობა ორივე ქვეყნებს შორის, რომელიც ხელს უწყობს გერმანიისათვის მორატორიუმის მინიჭებას. გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულება არის საუკეთესო გზა ყველა სადაო საკითხების გადასაწყვეტად. უკეთებს რა პომენტარიებს პუანკარეს სიტყვას, პარიზის გაზ. „ტანი“ ამბობს, რომ როგორც სჩანს, პუანკარეს არ სურს აწარმოოს ლმობიერი პოლიტიკა გერმანიის მიმართ.

შანცერის განცხადება

რომი 23 აგვისტო (რადიო) გაზ. „ტრიბუნი“ თანამშრომელთან საუბრის დროს შანცერმა განაცხადა, რომ იტალიის დელეგაციამ ლონდონის თათბირზე ითამაშა შემარიგებელი როლი საკონტრიბუციო საკითხის და მოკავშირეთა ვალების საკითხის თანხმობით გადაწყვეტის საქმეში, იმ საკითხების, რომელიც იქნება განხილული ახალ კონფერენციაზე. შანცერმა დაადასტურა, რომ ინგლისს არა აქვს სურვილი მოსთხოვოს იტალიის საშხედრო ვალის პირველი გადასახადის შეტანა, ვინაიდან ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება ყველა მოკავშირეთა თანხმობით.

გერმანული პრესა პუანკარეს სიტყვის შესახებ

ბორდო 23 აგვისტო. (რადიო). გერმანული გაზეთები ბეჭდავენ რა პუანკარეს სიტყვას ზოგიერთ ადგილებს, უკეთებენ მას ძალიან ცოტა კომენტარიებს. ამ სიტყვის გამო, გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ამბობს, რომ პუანკარეს ყველა სიტყვები არიან ჭეშმარიტების დამახინჯება. გაზ. „ტეგლიხ რუნდშაუს“ აზრით, პუანკარეს სიტყვები მიმართულია იქითკენ, რომ გამოყენებულ იქნას ინგლისთან განხეთქილება გერმანიის საკითხში მოქმედების თავისუფლების მოპოვებისათვის. გაზ. „დეიჩე ტაგერეიტუნგი“-ს სიტყვით პუანკარეს სიტყვები პროვოკაციულია და გერმანიის მთავრობამ უნდა დაიკავოს განსაზღვრული პოზიცია დაუშვებელი მუქარის წინააღმდეგ. მან უნდა გამოიჩინოს თავისი შეურიგებლობა ვერსალის ხელშეკრულებისადმი.

საკონტრიბუციო კომისიაში

ბორდო. 23 აგვისტო. (რადიო) მოკლერს და ბრედბერგს გუშინ ბერლინში ერთი საათის განმავლობაში ქონდათ თათბირი ვირტთან და გერბერთან. უკანასკნელებმა დაადასტურეს, რომ გერმანიას სურს განაგრძოს თავის ვალდებულებათა შესრულების პოლიტიკა მაგრამ მარკის კურსის კატასტროფიული დაცემა საშუალებას არ აძლევს მას, შეიტანოს გადასახადი ნაღდ ფულით, როგორც ეს განზრახული იყო. ვირტმა განაცხადა, რომ რეინის მარცხენა ნაპირზე მდებარე სახელმწიფო ტყეების გარანტიების სახით გაცემაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. მოლაპარაკება დღესაც გაგრძელდება.

გაზ. „ტანი“ მოლაპარაკების შესახებ.

ბორდო. 23 აგვისტო (რადიო). გაზ. „ტანის“ ცნობით საკონტრიბუციო კომისიის დელეგატების და გერმანიის შორის მოლაპარაკება მოკლე იქნება. საკონტრიბუციო კომისიის, დელეგატები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ მოლაპარაკება გასცილდეს მორატორიუმის საკითხის საზღვარს. საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილება გარანტიების შესახებ, არის მინიმალური, რომელსაც არ სჭირდება არავითარი ვაჭრობა.

იტალიის პრესა პუანკარეს სიტყვის შესახებ.

ბორდო. 23 აგვისტო (რადიო). „ტრიბუნა“ უკეთებს რა კომენტარიებს პუანკარეს სიტყვას, მოუწოდებს გავლენა მოახდინონ იტალიის ზოგიერთ პოლიტიკურ დიპლომატიურ და ფინანსიურ წრეებზე. გაზეთები აკრიტიკებენ გერმანიის მოთხოვნილებებს და აღნიშნავენ, რომ იტალიის საზოგადოებრივმა აზრმა თავის საკუთარ ინტერესებისათვის უნდა განაცხადოს საფრანგეთთან ერთად, რომ ხელშეკრულებანი იდება არა იმისათვის, რომ ისინი დავარღვიოთ.

ბელგიის დაჟინებითი მოთხოვნილება.

ბორდო. 23 აგვისტო (რადიო). ბელგია დაჟინებით მოითხოვს გადაიხადოს გერმანიამ კონტრიბუცია.

ფითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რუსეთის ფლოტი.

მოსკოვი. 23 აგვისტო (რადიო). **გელსინგფორსიდან იტყობინებიან: იმ აღლუმის გამო, რომელსაც ახდენს რუსეთის ფლოტი ბალტიის ზღვაში, გაზ. „ხუვუდსტას ბლადეტი“ სწერს, რომ საბჭოთა მთავრობამ შესძლო მნიშვნელოვანად აღედგინა თავისი ფლოტი. თუ რუსეთის ფლოტის აღდგენა ამავე ტემპით გაგრძელდება მომავალში, მაშინ მომავალ გაზაფხულს, რუსეთის განაპირა ქვეყნები იძულებულნი გახდებიან ანგარიში გაუწიონ მას, როგორც რეალურ ძალას.**

ევროპის კრიზისი და საბჭოთა რუსეთი

მოსკოვი 23 აგვისტო (რადიო) წერილში ამ სათაურით ამბ. რადეკი სხვათა შორის სწერს: „ანტანტის დამლა აყენებს ევროპის საკითხის წინაშე: რა იქნება შემდეგ ამისა?

საფრანგეთმა შეიძლება აშკარად ჩაიგდოს ხელში რურის აუზში. გერმანია ინგლისის დახმარებაში იმედ გაცრუებული, შეიძლება ხელშეკრულებით შეეკრეს საფრანგეთს. ორივე შეთხვევაში რურის აუზი საფრანგეთის განმტკიცება მოასწავებდა საფრანგეთის მილიტარიზმის ქვეშ ეკონომიური ბაზის შექმნას, რომელიც ჯერ არ შეუქმნია არც ერთგამარჯვებულ სახელმწიფოს ევროპაში. საფრანგეთის პოლიტიკის გადაწყვეტას აქვს უდიდესი იმტერესი საბჭოთა რუსეთისათვის. ცენტრალურ ევროპაში მდგომარეობის გამორკვევა მოითხოვს საბჭოთა რუსეთისაგან ამ მდგომარეობის ყოველგვარ შედეგების გათვალისწინებას. იგი მოითხოვს ჩვენგან დიდ სიფრთხილეს სამხედრო საქმეში. გენუაში დადებულ ხელშეკრულების ვადა, უთანხმოებანი თავდაცვაზე უარის თქმის შესახებ თავდება. არ ვიცით, როგორია ჩვენი მეზობლების მომავალი ზრახვანი. ადვილი შესაძლებელია, რომ კაპიტალისტები დაიწყებენ ოპერაციებს არა ადამ სმიტის მოძღვრების მიხედვით, არამედ კავალერიით და არტილერიით. საეჭვოა, რომ იგივე არგუმენტები იყოს ჩვენს ხელშიაც.

კონფერენცია განიარაღების შესახებ.

მოსკოვი. 24 აგვისტო (რადიო). გარეშე საქმეთა კომისარიატის განცხადება: „12 ივნისს რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა მეზობელ სახელმწიფოთ მოეწვიათ კონფერენცია განიარაღების საკითხის შესახებ. რუსეთის მთავრობას ეჭვიც არ შესვლია იმაში, ყველა სახელმწიფოს მთავრობები სიხარულით მიიღებენ ჩვენ წინადადებას. მაგრამ პასუხების დაგვიანება, რომელიც მიღებულ იქნა ერთი თვის შემდეგ, მათი გაურკვევლობა, არაპირდაპირობა და თავისებური კამპანია მათ პრესაში წარმოებული, გვაფიქრებიებენ, რომ მეზობელ სახელმწიფოთა მთავრობები არც თუ სიხარულით ღებულობენ ჩვენ წინადადებას. ასე, მაგალითად, პოლონეთის მთავრობამ მოითხოვა კონფერენციის გადადება მანამდე, სანამ ეს საკითხი განხილულ არ იქნება ერთა ლიგაში. ეს ფაქტიურად ნიშნავს კონფერენციაზე უარის თქმას. ფინლიანდიის მთავრობა გვთხოვს შეავტყობინოთ, რომელმა სახელმწიფომ განაცხადა თანხმობა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ფინლიანდიის, ლატვიისა და ესტონეთის მთავრობანი თხოულობენ წინდაწინ ეცნობოს მათ კონფერენციის დღიური წესრიგი.

რუსეთის მთავრობა მხედველობაში იღებს რა ამ საკითხის ორთა ძნიშვნელობას, ხელმეორედ მიმართავს მათ კონფერენციის მოწვევის წინადადებით და სვამს კონფერენციის დღის წესრიგში ერთად-ერთ საკითხს—განიარაღების შესახებ.

კონფერენციის მოწვევა განზრახულია 5 სექტემბრისათვის აქლ. მოსკოვში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ავსტრიის კანცლერის მისვლა.

ბორდო. 23 აგვისტო (რადიო). ბერლინში მივიდა ავსტრიის კანცლერი სეიპელი, რომელიც მიიღო ფინანსთა მინისტრმა და ვირტმა.

რიზა ლიუქსემბურგის მკვლელის შეპყრობა.

ბორდო. 23 აგვისტო (რადიო). ლეიდენ ლატვიის მენშევიკები, ლატვიაში დიდი სენსაცია გამოიწვია. ლატვიის სოც.-დემოკრატიული პარტიის ცეკა თავის განმარტებაში სცდილობს მთელი პასუხისმგებლობა მოახვიოს თავზე პარტიის მემარჯვენე წრეებს, რომელიც მას გამოეყო წარსულ წელში.

ბოროტ-მოქმედებანი ლატვიის წითელ ჯარში.

მოსკოვი. 23 აგვისტო (რადიო). ლატვიის წითელი ჯვარის პეტროგრადელ ორგანიზაციაში აღმოაჩინეს დიდი ბოროტ-მოქმედება. დელეგაციის თავმჯდომარე იანსონს ბრალს სდებენ ფულის გაფლანგვაში. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ კასა დაცარიელებულია, წიგნების ანგარიში არ სწარმოებს წესიერად და საქმეები აწეწილია. იანსონი თანამდებობიდან გადაყენეს.

რუპრეხტი პარიზში.

მოსკოვი. 23 აგვისტო (რადიო). გაზ. „ნისიონ ბელჟი“ ათავსებს სენსაციურ ცნობას ბავარიის ტახტის ყოფ. მემკვიდვის რუპხრეტის პარიზში ჩასვლის შესახებ. გაზეთის ცნობით რუპრეხტი ჩავიდა პარიზში ინკოგნიტოდ, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოსალაპარაკებლად, რომელთაც მას სურს წარუდგინოს ცენტრალურ ევროპის პრობლემის გადაწყვეტის ახალი გეგმა. ის გეგმა მდგომარეობს შემდეგში: ბავარიაში მონარქიის აღდგენა, ავსტრიის შეერთება ბავარიასთან გერმანიის საიმპერიო მთავრობასთან საერთო ბრძოლის წარმოების მიზნით და რეინის მხარეში დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა.

ანარქისტების პროცესი

მოსკოვი. 23 აგვისტო. (რადიო). გაზ. „იუმანიტის“ ცნობით ამიერიდან ანარქისტების პროცესი, რომელთაც შიმშილობა გამოაცხადეს, გადაიდო ბრალდებულთა ჯანმრთელობის სერიოზული მდგომარეობის გამო

ბელგიერის პროცესი.

მოსკოვი. 23 აგვისტო (რადიო). ბარამანის საგზედრო სასამართლოში (ბელგიაში) ეს მეორე კვირაა სწარმოებს პროცესი ყოფილი დეპუტატის ბეკლერისა, რომელიც დაპატიმრებულ იქნა 10 დღით ადრე არჩევნების დაწყებამდე 1921 წ. ნოემბერში. ბეკლერს ბრალს დებენ საბელგიოს ღალატში, და საბელგიოს ბრალმდებელი იმაში, რომ იგი, მეთაურობდა რა ერთ ერთ საიდუმლო ფრონტის ორგანიზაციას, ეწეოდა აგიტაციას ომის შეწყვეტის სასარგებლოდ. დაკითხულმა მოწმეებმა თითქმის ყველამ ილაპარაკეს ბრალდებულის სასარგებლოდ. მოწმეთა რიცხვში არის აგრეთვე ვანდერველდე, რომელიც „ფიქრობს, რომ ბეკლერი აგიტაციას ეწეოდა ომის შეწყვეტის სასარგებლოდ. მაგრამ ვანდერველდე იძულებული იყო აღიარებინა, რომ ბეკლერი საერთოდ პატიოსანი ადამიანია“.

ფორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 23 აგვისტო (რადიო). იაპონიის პრესა ანგარიშობს, რომ იაპონიის კომერსანტების ზარალი ციმბირში ინტერვენციის დროს უდრის 8 მილ. იენს. ამ ზარალს აუნაზღაურებს მათ იაპონიის მთავრობა სულ ახლო მომავალში.

რუსული შორეულ აღმოსავლეთის პრესაც ანგარიშობს იმ ზარალს, რომელიც მიაყენენ რუსის მცხოვრებთ ინტერვენციამ. პრესის ცნობით რუსის მცხოვრებთა ზარალი მხოლოდ ერთ ამურის ოლქში 100 მილიონ ოქროს აღემატება.

მერკულოვის მიერ დიტრეხსისათვის ძალაუფლების გადაცემის დროს დადებული იყო პირობები, რომლის თანახმად „ყველა მერკულოვის და მისი მთავრობის წევრთა მიერ ჩადენილი მოქმედება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს“. დიტრეხი უწოდებს თავის თავს ერობის მხედრობის უფროსს. მისი ბრძანებით საერობო ყრილობა ირჩევს ქალაქის სათათბიროს. ამ დღეებში საერობო ყრილობამ მიიღო მისალოცი დეპეშა მარიამ თეოდორეს ასულის რომანოვისაგან.

გერმანიის მარკის კურსის გამო.

მოსკოვი. 23 აგვისტო (რადიო). სარეპარაციო კომისიის წევრთა გამგზავრებამ ბერლინში გერმანიის მთავრობასთან გარანტიების საკითხზე მოსალაპარაკებლად, დადებითი გავლენა მოახდინა მარკის კურსზე. ლონდონში მარკის კურსმა გუშინ აიწია ისე, რომ გირ. სტერლ. ღირს 5.600 მარკა.

უცხოეთის ცხოვრება

ანრი ბარბიუსი ესერების შესახებ.

ამ სათაურით გაზ. „იუმანიტეს“ 2 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია საფრანგეთის ცნობილი მწერალის აზრი ბარბიუსის წერილი ესერების შესახებ. ეს წერილი დაბეჭდილი იყო რამოდენიმე დღით ადრე განაჩენის გამოტანამდე და სრულიად რუსეთის ცენტრალურ ინკასკომის დადგენილების მიღებამდე და ამრიგად არ წარმოადგენს მომხდარი ფაქტის კომენტარიას. მიუხედავათ ამისა სრული ერთი და იგივეობა არსებობს ანრი ბარბიუსის თვალსაზრისსა და გამოტანილ განაჩენის შორის.

ანრი ბარბიუსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებაზე და შებრალებაზე: „მაგრამ დაე ეს შემსუბუქება არ ნიშნავდეს გამართლებას, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს მოვითხოვოთ კონტრ რევოლიუციის სასარგებლოდ ოაიმე სხვა, მოწყალების გარდა. ჩვენ აზრათაც არა გვაქვს შეუერთდეთ იმ ცილისწამების კაპანიას, რომელიც ახლა გამართულია რუსეთის მართლმსაჯულების წინააღმდეგ და არც გამოვიდეთ საჯარო დამცველად კონტრ - რევოლიუციონერნბის მიერ ჩადენილი ბოროტ მოქმედებისა. ს.-რევოლიუციონერები ყოველგვარი საშუალებებით სცდილობდნენ დაეღუპათ რუსეთის მეორე რევოლიუცია. შეგნებულათ თუ შეუგნებლათ მათ შეუერთეს თავისი ძალები საერთაშორისო ყველა რეაქციონურ ძალებს, რომელნიც რუსეთის რევოლიუციამ თავის წინააღმდეგ გამოიწვია. ეს იმ გვარი მოღვაწეობაა, რომელიც ეს შეიძლება ეპატიოს შეგნებულ ადამიანებს.“

„რომ დაეტოვებიათ მოქმედების თავისუფლება ყველა იმათთვის, ვინც თითქმის არა ბუნებრივი გაცხარებით გაილაშქრა სრული განთავისუფლების ცდის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო რუსეთის მეორე რევოლიუციამ, მაშინ ის უზარმაზარი ქ�ნა, რომელმაც თავისი სისხლითა და ხორცით ჩაუყარა საფუძველი ყველა სხვა ქვეყნების მორალურ განახლებას, ჩავარდებოდა დღეს-დღეობით იმ პოლიტიკური რეჟიმის ჰაერობებში, რომელიც იქნებოდა ძველი ცარიზმის უბრალო განმეორება.“ „ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ამის შესახებ, რომ შეავარბილოთ იმ აქტების ბნიშვნელობა, რომელიც ჩაიდინეს რევოლიუციის მტრებმა, იქნებიან ისინი ანარქისტები, სოც.-რევოლიუციონერები თუ მონარქისტები,—იმ აქტების, რომელნიც მიმართულნი იყვნენ, რომ პროლეტარიატის ხელები, ბენ სახელმწიფოს ღალატში, და სახელმდობრ იმაში, რომ იგი, მეთაურობდა რა ერთ ერთ საიდუმლო ფრონტის ორგანიზაციას, ეწეოდა აგიტაციას ომის შეწყვეტის სასარგებლოდ. დაკითხულმა მოწმეებმა თითქმის ყველამ ილაპარაკეს ბრალდებულის სასარგებლოდ. მოწმეთა რიცხვში არის აგრეთვე ვანდერველდე, რომელიც „ფიქრობს, რომ ბეკლერი აგიტაციას ეწეოდა ომის შეწყვეტის სასარგებლოდ. მაგრამ ვანდერველდე იძულებული იყო აღიარებინა, რომ ბეკლერი საერთოდ პატიოსანი ადამიანია“.

პარასკევს, 25 აგვისტოს, ხალამოს 6 საათზე გაიმართება.

სრულიად საქართველოს ფეიქართა კავშირის

მე-2 ყრილობის

საზეიმო გახსნა

პროფ-კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე)

დასასრულ

საკონცერტო განყოფილება

სახელმწიფო თეატრის მსახიობის ბ. ამირჯანის და მისი სტუდიის მონაწილეობით.

ერილობის გახსნაზე მოწვეულნი არიან საქართველოს ფეიქართა კავშირის საფაბრიკო კომიტეტების ეველა წევრები.

საორგანიზაციო ბიურო.

3—2

თბილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული

ომომისა და ტვირთზიდვის ზარკის გამგარებელი კომისია

თბილისი

ამით აცხადებს, რომ **ის პირები, ვინც ვალდებულნი არიან გადაიხადონ ომომისა და ტვირთზიდვის ზარკი,** იხდიან, თანახმად № 6 საგალდებულო დადგენილებისა, **5 მანეთის** (ოქროთი) **მაგივრად 475,000 მანეთს,** 10 მანეთის მაგივრად **950.000 მანეთს** და 12 მანეთის მაგივრად **1.140.000 მანეთს.**

ხსენებული განაწევრი დადგენილია ამა წლის 21 აგვისტოდან 26 აგვისტომდე. (კრ. 187—4—4)

ნელისათვის სპეციალურად მოწყობილი იყო გაზეთი „დეილი მეილი“, ეს იაფ-ფასიანი ქუჩური გაზეთი, რომელიც დაუშრეტელი წყარო იყო ყოველგვარი სენსაციებისა.

„დეილი მეილი“ ეს დიდი ძალაა. ამ აპარატის შენწყობით ყოველდღიურათ ეწევეთებოდა შხამი ჯინგოიზმისა, ე. ი. ინგლისური იმპერიალიზმისა **მილიონ** მუშებსა და მათ ოჯახებს. ამ გაზეთის ოფიციალური ტირაჟი აღწევდა 1.818.000 ეგზემპლიარს, მაგრამ რადგანაც იგი, როგორც სხვა ყველა გაზეთი, იკითხება არა მარტო მყიდველის მიერ, არამედ მისი მახლობლებისგანაც, მაშინ მისი მკითხველი საზოგადოების წრე კიდევ უფრო გასცილდება ამ კოლოსალურ ციფრს, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ შეადგენს ინგლისის პროლეტარიატი.

„დეილი მეილს“ რომ აშკარა ანტი მუშური პოლიტიკა ეწარმოებია, მაშინ იგი ნაკლებათ საშიშარი იქნებოდა. მაგრამ ამისათვის ლორდ-ნორტკლიფი ძალიან ცბიერი იყო. იგი ანჯამინებდა ჩუმათ მიპარვოდა მუშა მკითხველს და შემოეჭირა მისთვის აბრეშუმის ყელსაბამი. გაზ. „დეილი მეილი“ ათავსებს ინფორმაციასა და წერილებს მუშათა ცხოვრებიდან, მუშათა მოძრაობისადმი თანაგრძნობის ტონით და ამ განყოფილების გასაძღოლათ გაზეთი იწვევს მუშების „წარმომადგენელს“ სოციალ გაყოფილთა ბანკიდან, რომელნიც სიამოვნებით კისრულობდენ სუტენიორები როლს ამ პროსტიტუციულ გაზეთისათვის კარგი გასამჯელოს აღებით.

ლორდ ნორტკლიფი იყო მფლობელი და თანა მეპატრონე **ორასი გაზეთისა** და სხვა პერიოდული გამოცემისა. მისი საკუთრის გაზეთი „ინვინგ ნიუსს“ ტირაჟი უდრის 890.000 ეგზემპლიარს. კვირეული „ვიკლი დისპეჩ“-იც წარმატებით ვრცელდება და სამწუხაროდ მას, რომელსაც კითხულობენ ინგლისის მუშები, ტირაჟი აქვს 866 ეგზემპ. გაზეთ „ტაიმს“ თუმცა უმნიშვნელო ტირაჟი აქვს, მაგრამ მისი გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, სადაც იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ინკრციისა და ტრადიციის ძალით. პოლიტიკურათ „ტაიმსი“ წარმოადგენს შეურიგებელ კონსერვატორებს, რომელსაც დიდი გავლენა არა აქვს ბურჟუაზიის წრეებშიდაც მას შემდეგ, რაც კონსერვატორების დიდი უმრავლესობა შევიდა კოალიციაში ლოიდ ჯორჯის ტიპის ლიბერალებთან. მაგრამ საქმის საუცხოოდ დაყენების გამო, გაზ. „ტაიმსი“ ინგლიშიდაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას, რომელსაც პრემიერი სერიოზულ ანგარიშს უწევს. ეს უკანასკნელი არ გაუშვებს არც ერთ თავის გამოსვლას პარლამენტში, რომ არ უკბინოს ნორტკლიფის ამ ორგანოს, რომ ამ უკანასკნელს ზიანი მიაყენოს, პრემიერმა განკარგულებაც კი გასცა, რომ ძველი დაკანონებული ჩვეულების წინააღმდეგ, არ მიეცათ გაზ. „ტაიმსისათვის“ მთავრობის დაწესებულებიდან ინფორმაცია უპირატესობის წესით. ამ განკარგულების შესახებ ლორდ ნორტკლიფმა ასტეხა დიდი განგაში და ფეხზე დააყენა მთელი მსოფლიო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ხოლო ამ მხრივ, განგაშისა და პროპაგანდის მხრივ—ნორტკლიფი დიდი სპეციალისტი იყო. ასე მაგალითად, მან ამას წინათ შემოიარა მთელი ქვეყანა და თავისი ორგანოების მთელ ფურცლებს ავსებდა რეალიციებით იმის შესახებ, თუ როგორ ხვდებოდენ მას, იღებდენ და აწყობდენ მის პატივსაცემათ ბანკეტებს და სხვ. და სამართლე უნდა ითქვას—ამ მოხსენებებში, რასაკვირველია გამოსჭვივოდა მისი პატივმოყვარეობაც, მაგრამ მისი ცნობები სამართლეს შეეფერებოდენ. მას მართლაც ხვდებოდენ, როგორც იტყვიან, მეფურად და ბუყეილად კი არ უწოდებდენ ლორდ ნორტკლიფს მეფეს—პრესის მეფეს.

ნორტკლიფის ყველა ორგანოების პლატფორმა იყო—უკიდურესი იმპერიალიზმი, ბრძოლა მუშათა მოძრაობის და კერძოთ კომუნიზმის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებით, ზოოლოგიური სიძულვილი საბჭოთა რუსეთისადმი, წასისიანება გერმანიისადმი და განსაკუთრებული სიყვარული საფრანგეთისადმი, როგორც რეაქციის განმანსახიერებული ქვეყნისადმი.

მოკვდა ლორდ ნორტკლიფი, მაგრამ მისი სული კვლავ სცოცხლობს მისი რეაქციონური პრესის მრავალ თავიან სხეულში. და მხოლოდ ძლევამოსილი ინგლისის პროლეტარიატი შესძლებს ამ სხეულის საბოლოოდ გასრესას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათუმი.

„ქამო“ და „შაუმიანი“

თანახმად სასამართლოს გადწყვეტილებისა გემები „მარია“ („ჟორჟ“) და „როსია“ („სადვიჩ) გამოცხადდა საბჭოთა რუსეთის საკუთრებად, რომელთაც გამოეცვალა სახელი ამ რიგად: პირველს დაერქვა „ქამო“ და მეორეს—„სტეფან შაუმიანი.“

შავი ზღვის ტრანსპორტის სამმართველომ დანიშნა დროებით ორი რუსი კაპიტანი „ქამო“-ზე ამბ. ვლადიკინი, ხოლო „შაუმიან“-ზე ამბ. ლოპპატო. გემი „ქამო“ აშენებულია 1905 წ. ნიუკესტლში, მოცულობა მისი უდრის 1340 სარეგისტრო ტონას; მიწერილია ოდესის ნავთსადგურზე და შეფასებულია რუსეთის მთავრობის მიერ 75,000 გირ. სტერლინგათ.

„სტეფან შაუმიანი“ აშენებულია იქვე 1896 წელს. სრული ტვირთზიდვა მისი უდრის 1322 სარეგისტრო ტონას; მიწერილია ოდესაზე, ფასდება 75,000 გირ. სტერლინგ.

სოხუმი

ესერების პროცესის გამო.

ერევანი. 23 აგვისტო. მუშათა კლუბის დარბაზში გაიმართა მრავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრებიდან

ხარლამოვის ფაკვილის მაღაზია

ამას წინათ მე 3 რაიონის შრომის ინსპექტორმა ამ მაღაზიის პატრონს შეუდგინა ოქმი კანონების შემდეგი სახით გვერდის ავლისათვის:

1) ამ ერთი თვის წინათ მიიღო მოსამსახურე ძალთა აღმნუსხველ განყოფილების გარეშე.

2) არა აქვს მოსამსახურეებისათვის დარიგებული საანგარიშო წიგნაკი.

3) არ შეაქვს ზღვეულების ფული და სხვა.

ოქმი გადაეცა შრომის დაცვის განყოფილებას დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემათ.

ნოქარი.

საშინელი ექსპლოატაცია

წვრილი სავაჭროების მეპატრონეთა თავხედობა ყოველგვარ საზღვარს გადადის. ზოგჯერ ეს ვაჭბატონები შრომის კანონებს სავსებით არ უშვენენ ანგარიშს. მუშის შრომის საშინელ ექსპლოატაციას მიჩვეულნი, ამას არც ახლა იშლიან.

ლორის მელიქოვის ქუჩაზე არსებობს კარონას საყავე „ქარნა". იქ მუშაობს ჟურჟლების მრეცხავთა პანოტინი (16 წლისაა) მუშაობს დილის 7 საათიდან ღამის 12 საათამდი ე. ი. მოზარდს ამუშავებენ დღე და ღამეში 17 საათს, მაშინ როდესაც კანონით 4—6 საათია განსაზღვრული. ჯამაგირს აძლევს თვიურად 100 ათას მანეთს.

მაგრამ არც ამ 17 საათს სჯერდება და ჟურჟლების მრეცხავ პანოტინს ღამის 12 საათს შემდეგ აგზავნის ფინიკულიორში თავის სასადილოში სამუშაოთ.

უეჭველათ საჭიროა ასეთი საარაკოთ გათავხედებული ხაზეინი არა მარტო დაჯარიმებულ ან ადმინისტრატიულათ დასჯილი, არამედ საჯაროთ გასამართლებულ იქნას.

ო—ტ.

ხაზეინთა თავხედობა

ამ უკანასკნელ ხანებში ხაზეინები ძალიან გაურბიან კავშირის წევრის სამუშაოთ მიღებას. იმათ კარგათ იციან, თუ როგორ არის დაცული კავშირის წევრთა ინტერესები. ამიტომაც იყვანენ მუშას ზოგს როგორც ნათესავს ზოგს როგორც შინაურს და ამუშავებენ ისე როგორც უნდათ. ასეთ მუშისათვის არც განსაზღვრული სამუშაო დღე არსებობს და არც რაიმე ტარიფი. სავაჭროში რომ მოათავებენ მუშაობას შემდეგ სახლში ამუშავებენ.

აი ამის ერთი მაგალითიც.

10 ივლისს მე 3 რაიონის შრომის ინსპექტორის მოზარდმა ლევან ტატუზოვმა განუცხადა შემდეგი:

ღვინის სარდაფის მეპატრონემ ე. აკოპოვმა მიმიწვია სამსახურისათვის იმ დროს როდესაც მე 19 თებერვლის ქუჩაზე ფურნეში ვმუშაობდი. ღვინის სარდაფში ვმუშაობდი დილის რვა საათიდან საღამოს 8—9—10 საათამდი. აგრეთვე საღამოობით ზოგჯერ მამუშავებდა ბაღში ბაღის მოსარწყავათ. აკოპოვმა როგორც კი გამიგო, რომ კავშირში ვეწერებოდი წინადადება მომცა სამსახურისათვის თავი დამენებებინა და მისგან წავსულიყავი. თანაც არ მომცა არავითარი ჯამაგირი.

დღეში მაძლევდა 1—3 გირვანქა პურს და კვირაში ერთხელ ცხელ საჭელს.

ღვინის სარდაფში მეტად სინოტივე იყო. ხაზეინს გული მოსდიოდა, რომ მის დაუკითხავათ როგორ ჩავიწერე კავშირში. საკურველია ასეთი თავხედი ხაზეინები სამაგალითოდ დაიჯებოდენ.

მუშა.

გიგილეიშვილის ფეხსაცმელეგის სამკერვალო

ამ სამკერვალოში ამუშავებენ ორ მცირე წლოვანს და არ იცავენ მათ მიმართ არავითარ შრომის კანონებს. ხაზეინზე არც არავითარი გაფრთხილება მოქმედებს და ის ძველებურად განაგრძობს ამ მცირე წლოვან ექსპლოატაციას. მცირე წლოვანებს ამუშავებს დილის 8 საათიდან საღამოს 8—9 საათამდი. **შრომის ინსპექტორმა შეუდგინა შესაფერი ოქმი მისი სამართალში მისაცემად.** ნაღვა გაიგებს ეს ვაჭბატონი რომ შრომის კანონების დარღვევა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არც მთლად იოლი ყოფილა.

მე—მე.

ვერას გახდეგიან

მოვაჭრეები ძალიან გაურბიან და ყოველ ღონისძიებას ღებულობენ, რომ მოსამსახურეები არ მიიღონ ძალთა აღმნუსხველ განყოფილებისაგან. იმათ კარგათ იციან, რომ ამ განყოფილებიდან გამოგზავნილი მუშა-მოსამსახურე კავშირის წევრია და მისი უზომო ექპლოატაცია არც მთლად იოლი საქმეა. ეს ვაჭბატონი პირდაპირ უცერემონიოთ გვერდს უვლიან ძალთა აღმნუსხველ განყოფილებას და იღებენ თავის ნებაზე მუშა მოსამსახურეებს.

ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონმა განოვის ქუჩაზე ავაქ შამინიანცმა მიიღო ორი მოზარდი ძალთა აღმნუსხველ განყოფილების გარეშე და მათ ამუშავებს არა 6 საათს არამედ 8 საათს. **შრომის ინსპექტორმა მას შეუდგინა სათანადო ოქმი შრომის კანონის დარღვევისათვის სამართალში მისაცემად.**

ხ. ა.

ერთი ნიმუშიც

ამას წინათ ვსწერდით რომ კერძო წარმოებებმა მიმართეს შრომის ექსპლოატაციის ერთ ფორმას. ზღვეულების ფულის შეტანისაგან გასანთავისუფლებლად ითხოვენ მუშას და შემდეგ აძლევენ მას სახლში სამუშაოთ საქმეს. სწორედ ამ მიზნით და არა საპატიო მიზეზით მკერავმა შერემეტევმა დაითხოვა მუშა მკერავი ი. მერკვილაძე. მერკვილაძემ ეს საქმე გაასაჩივრა შრომის კომისარიატში არსებულ საკონფლიქტო კომისიაში. კომისიამ გაარჩია უკვე საქმე და აღიარა, რომ როგორიც არ უნდა იყვეს შრომის ხელფასის ფორმა: ნაჭრობითი, ნარდი თუ გარიგებით და სადაც არ უნდა მუშაობდეს მუშა: შინ თუ წარმოებაში—მათზე ვრცელდება ყველა შრომის კანონები და მათ შორის დაზღვევისაც.

კომისიამ ახეთი დანაშაულობის გამო შერემეტევი დააჯარიმა 10 მილიონ მანეთით და თუ ჯარიმას არ გადაიხდის დაპატიმრებული იქნება ერთი თვით ციხეში.

საჭიროა ყველგან ასევე სააშკაროზე იქნებოდეს გამოტანილი ხაზეინების ასეთი ცდა და ყველგან მედგარი ბრძოლა გაეწეოდეს მას. ხაზეინებმა უნდა გაიგონ რომ დღეს მენშევიზმის ხანა არაა და არც მთლად იაფათ დაუჯდებათ შრომის კანონების გვერდის შევლა.

მკერავი.

ჩვენი გასაჭირი

მოსკოვის ქუჩის მაღლობ ადგილას დიდძალი მშრომელი ხალხი ვცხოვრობთ. საზოგადოთ ბედი არ გვწყალობს. ზოგჯერ არის და მთა გვენგრევა თავზე. ახლა კი ეს ერთი ხანია ჩვენს ქუჩაში კრანებში წყალი არ მოდის. დავიხეტებით მთებში და ვეძებთ წყაროს. წყაროზე ყველგან ისეთი დიდი რიგია, რომ ხშირად გვეჭირს მით სარგებლობა. მაგრამ რიგი მიტომაა, რომ კრანტი არ ვარგა და წყალი მცირე გამოდის. ესეც არ იყვეს ზამთარი მომავალია და ასეთი წყლით სარგებლობაც შეუძლებელი გახდება. სასურველია ქალაქის აღმასკომი მოგვაქცევდეს ყურადღებას.

აქ მცხოვრები.

ქრონიკა

ეპიზოოტია. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის საბეითლო სასანიტარო განყოფილების ცნობით 1-დან—8 აგვისტომდე ეპიზოოტიის მსვლელობა შემდეგი იყო: **ხაქონლის ჭირი.** საქონლის ჭირი აღმოჩენილია ახალქალაქის მაზრის შემდეგ სოფლებში: ზოვეტში ერინჯაში, ოკამში, ვარეკანში, კურიდადეგში, და კაჩნოში, უკანასკნელ სოფელში საქონელი აცრილია.

სიღნაღის მაზრაში ჭირი აღმოჩენილია შემდეგ სოფლებში: კარსუბანში, ზემო და ქვემო მასნალგორში და შრომაში, არც ერთ სოფელში საქონლის სიკვდილი არ ყოფილა.

გორის მაზრაში საქონლის ჭირი აღმოჩენილა შემდეგ სოფლებში: ქვიშხეთში (კარანტინი გახსნილია), ამისიოთაფში და ხერპერში (საქონელი აცრილია). კაკალანთ-ხევში (დაიხოცა 3 სული საქონელი) მეტეხში (დაიხოცა 30 სული) და წერეთაში (დაიხოცა 5 სული). ახალციხის მაზრაში სოფ. ტამალაში და ქ. ახალციხეში (საქონელი აცრილია). **ციმბირის ჭირი.** ციმბირის ჭირი აღმოჩენილ იქნა ოზურგეთის მაზრის შემდეგ სოფლებში: ჯუმათში და გუქალში (დაიხოცა 4 სული).

შორაპნის მაზრაში სოფ გოდესტში (დაიხოცა 10 სული.)

შრომის და ტვირთზიდვის ბეგარა. 22 აგვისტოდან დაიწყო ბეგარის ფულით შეცვლის შემოსავალი. რაიონულ პუნქტებში თავს იყრიან გადამხდელები ცნობების მისაღებად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გადასახადის აკრეფა წარმატებით დამთავრდება.

მეცადინეობა სასწავლებლებში განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით დაიწყება 25 სექტემბრიდან, ხოლო გამოცდები მისაღებად 20 სექტემბრიდან.

განათლების სახალხო კომისარიატში

— მიღებულია ზომები ახალციხის მაზრისათვის სასკოლო ლიტერატურის მისაწოდებლად.

— წინადადება მიეცა საფინანსო განყოფილების და საქმეთა მმართველის გამოიმუშავონ სახალხო განათლების განყოფილებათა სამმართველოსათვის სათანადო გეგმა.

— კოლეგიამ დაადგინა, ეთხოვოს თელავის სამაზრო აღმასკომს მიიღოს თავის თავზე მაზრის სკოლების ხარჯების 75 პროცენტი.

— დაადგინა დაიხუროს თიონეთის ტეხნიკუმი, მოსწავლეთა რიცხვის სიმცირის გამო.

— თელავის სომხური ტეხნიკუმის ქართულად შეერთების განზრახვის გამო, წინადადება ეძლევა პროფესიონალურ განათლების მთავარ განყოფილებას ამ საკითხის გამო შევიდეს კონტაქტში ნაციონალურ უმცირესობითა საბჭოსთან და განათლების მუშაკთა განყოფილებასთან და დასკვნა წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

უარსის ხელშეკრულება. უახლოეს მომავალში მოპდება ხარატიფიკაციო სიგელების გაცვლა ამ.-კავკასიის რესპუბლიკათა და ოსმალეთის წარმომადგენელთა შორის.

საქართველოს—საჩხეთრო გზაზე.

ფახანაური. 21 აგვისტო. ავტომობილით მიმოსვლის აღდგენისათვის გაწეული მუშაობა დამთავრებულია საქართველოს სამხედრო გზის მთელ მანძილზე, თბილისიდან ახალ ლარსამდე მთიულეთის რესპუბლიკის საზღვრებამდე. ეს სამუშაო სწარმოებდ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქალაქის საალმშენებლო კომიტეტის მიერ. 20 აგვისტოდან ავტომობილით მიმოსვლა გაიხსნა ახალ ლარსამდე თბილისიდან. დარჩენილია ახალ ლარს—ვლადიკავკავის ადგილი, სადაც მთიულეთის რესპუბლიკის მხრივ ჯერ არ შესდგომიან საშუშაოს.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერის თეატრი—მოსკოვის სამხატვრო თეატრის მე-2 სტუდიის საგასტროლო სპექტაკლი „უზორ იზ როზ". რუსთაველის თეატრი—გრანდიოზული სურათი „ჯუნგლის საიდუმლოება". ქართული კლ. საზაფხულო თეატრი—საღამო სეირნობა. საზაფხულო წრე—კონცერტი. სომხ. კლუბის საზაფხულო თეატრი—საღამო სპექტაკლი. მუშ. ცენტრალ. კლუბი—საღამო სეირნობა. ც. მუშათა კლ. ახალი თეატრი—კინო. თავისუფალი თეატრი—მე-5 ციკლი თეატრ ნიღბების პროგრამა. თეატრი ამირანი—კონცერტი კაბარე. ვერის პარკი—საღამო სეირნობა. პროფკავშირთა საბ. კლუბი—კონცერტი. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

ბინის საკითხის გარშემო

განმარტება.

თბილისის ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. 18 ნოემბრის, № 50 ბრძანებით, კერძო პირთათვის დაწესებული იყო საცხოვრებელი ბინა ნორმათ 15 კვად. არშ. სულზე და ნორმაზე ზედმეტი ნაწილი 10 კვად. არშინამდე თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. ხოლო 10 კვ. არშ. ზევით გედასახადი იმდენივე უნდა ყოფილიყო, რამდენიც დაწესებული იყო მთელ ნორმაზე, ე. ი. 15 კვ. არშინზე, თბილისის ქალაქის აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 4 გამოქვეყნებისას, („პრავ. გრუზ." 1920 წ. 30 მარ. № 323) ნორმათ განსაზღვრული იქნა 25 კვ. არშინი სულზე, ხოლო დადგენილება ნორმაზე ზედმეტი ნაწილის შესახებ გაუქმებულ იქნა. შინაგან საქმეთა კომისარიატის დადგენილების გამოქვეყნებით, რომელიც დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წ. 16 ივნისს, ნორმათ სულზე დარჩენილ იქნა 25 ავ. არშინი, ხოლო ზედმეტი ნაწილისათვის (მისი რაოდენობის განუსაზღვრელად), ამ კანონდებულების მე 7 მუხლის თანახმად, დაწესებულია ორმაგი ფასი თვითეულ არშინზე, ძირითადი ნორმის თვითეული კვადრ. არშინის საფასურთან შედარებით.

ამ რიგად წესდება, რომ პირველი კატეგორიის მცხოვრებლებმა, ამ ჟამად, უნდა გადიხადონ საცხოვრებელი ბინის ნორმაზე, თუ ვიანგარიშებთ 25 კვ. არშინს სულზე, 1000 მანეთი თვითეულ კვადრატიულ არშინზე, ხოლო ზედმეტი ნაწილისათვის 2.000 მანეთი თვითეულ არშინზე ზედმეტი ნაწილი უნდა იქნეს 25 კვ. არშინზე უფრო ნაკლები.

ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე—ი. წივწივაძე.

23 აგვისტო 1922 წ.

გაფრთხილება

სახალხო კომისართა საბჭოს № 9 დეკრეტის: „კერძო მფლობელობაში მყოფი სახლების საცხოვრებელი ბინების შესახებ" მე 2 მუხლში ნათქვამია: სახლის მეპატრონენი ვალდებულნი არიან განაგონ და მოუარონ სახლებს პირადათ, ან განსაკუთრებული რწმუნებული პირის საშუალებით, გაუკეთონ მას აუცილებელი რემონტი და აღა სრულონ ყველა განკარგულებანი ადგილობრივი ხელისუფლებისა, როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრატიული ხასიათისა („პრავ. გრუზ." 1922 წ. 22 ივნის. № 365) ამავე დროს კი შემჩნეულია, რომ ბევრი სახლის მეპატრონე, გამგე და არენდატორი არ უკეთებენ სახლებს აუცილებელ რემონტს. ასეთი დამოკიდებულება სახლის მეპატრონეებისა, ან მათი მოადგილე პირებისა, სახლის, მმართველობის მხრივ მათზე დაკისრებული მოვალეობისადმი, აიძულებს თბილისის ქალაქის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას, მოაგონოს ამ პირებს მათი მოვალეობა და გააფრთხილოს ისინი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომავალშიც შემჩნეული იქნება ასეთი დაუდევრობა დაკისრებულ მოვალეობათა ასრულებისადმი დამნაშავენი კანონიერ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, ხოლო სახლები კი მათ ჩამოერთმევათ და გადაიცემა კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგებლობაში.

თბილის ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგე

ი. წივწივაძე.

23 | VIII 22 წ.

ამხანაგი სალომე

(გაგრძელება. იხ. გაზ. „კომუნისტი-ს" № 193)

ამხანაგები ყველანი აღმაცერათ უყურებენ სალომეს.

მათ სალაპარაკო საგნათ ღღეს სალომე გამხდარა.

როდესაც და სადაც არ უნდა იყვნენ, ამხანაგებს სალომეზე აქვთ ლაპარაკი. რაიპარტკომის ყურადღების ცენტრათ თითქო მარტო იგი გამხდარა.

თუ წინათ ამხანაგები სალომეს ქება-დიდებაში იყვნენ,—გუნდრუკს უკმევდენ, ეხლა მათ მარტო ლანძღვისა და ნაკლულევანებაზე ლაპარაკის გარდა მეტს ვერაფერს ვერ მოუსმენ იმის შესახებ. ერთად ერთი ამხანაგი თითქმის ეს რაიპარტკომის ხსენებული მდივანი გოგი არის, რომელიც ძველებურათ არ იცვლის მისდამი დამოკიდებულებას.

რაიპარტკომის წევრი, გოგის ძველი ამხანაგები ამჩნევენ ამას და არ იწონებენ, პირიქით ესეყვედურებიან გოგის. მაგრამ გოგი კი აქ არ ცდილობს პასუხის მოცემას, იგი ეშვის თვალით შემოხედავს ამხანაგებს და თითქოს უნდა მიახალოს მათ ასეთი სიტყვები: „ალბათ ჩამწვარი ხარ, ჩემო კარგო".

გოგი არ სთვლის სერიოზულათ ამხანაგების საყვედურს. პირიქით ეს სიცილს გვრის მას და კიდევ უფრო უახლოვდება და ზრდის სალომესადმი პატივისცემას.

ამბ. გოგი ისე შორს მიდის ხანდახან სალომეს დაცვაში, რომ ამ ნაბიჯებით ის პირ აქეთ უჩვენებს ამხანაგებს, რომ სალომე ყველა ერთად მათზე უკეთესია.

—... არა! რომ იცავს ჩვეულებრივ, ყოველგან ასახელებს, აყენებს გოგი მას და ჩვენ კი გვერდს გვიხვევს, თავის ნაბიჯებში არაფერსაც არ გვეკითხება—ეს რას ნიშნავს! გაბრაზებული ეკითხება ამხანაგი კრების შემდეგ გზაზე მასთან ერთად მიმავალ ამხანაგებს.

...სალომეთი გაოჩწვეული ამხანაგების უკმაყოფილება გადავიდა თვით გოგიზე ამხანაგებისთვის თანდათან უცხო ხდება გოგიც.

ეხლა ყოველთვის, როცა სალომეს ახსენებენ იქ გოგისაც მოიგონებენ ხოლმე და ასე ერთზე ლაპარაკი მიზეზი ხდება მეორეზე სალაპარაკოთ გადასვლისათვისაც.

—. უყვარს ძმავ უყვარს! —მიმავალ ამხანაგებს შორის „ვრძელდება ლაპარაკი დაწყებულ" თემაზე.

—... მერე და ვინ უშლის თუ უყვარს, აქ რა არის სასირცხო და დასამალავი მაგრამ..

—ამ დალოცვილს რაღა აქ, პარტიის „ხარჯზე" კომიტეტში უნდა დაანახვოს ეგ სიყვარული და სცეს პატივი... თუ უყვარს ამისთვის სხვა ადგილი გამონახოს და იქ მოექცეს შესაფერათ, დაუმტკიცოს, რომ იგი მისთვის მეტად ძვირფასია, რომლისთვისაც არაფერს არ დაიშურებს. მარა აქ კი... გონა თითონ ვერა ხედავს, რომ ასე გამოიცვალა, შეეჯავრა ამხანაგებს კიდეც, აღარ სარგებლობს ძველი ნდობა-პატივისცემით!.

—...ჰო მართლა, გუშინ წინდელი ჩვენი პლენუმი მაინც აღარ ახსოვს, რომ სრულებით მოხსნა პრეზიდიუმის წევრობიდან!?.

—... მართლა ეს ერთი ხანია სალომე მის მიერ საკეთებელ საქმეებსაც აღარ უყურებს ჩვეულებრივი ინტერესით. დაკისრებულ სასწრაფო დავალებასაც აღარ ასრულებს რაც ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა მისი პრეზიდიუმიდან მოხსნისა... მაგრამ ამასთან ერთად ანჩხლი და უსაშვალო მედიდურიც, რომ გახდა!?.

— სალომე... სალომე ვინ არის! სალომე ჩვენთვის არ არის დიდი დანაკლისი... როგორც მოულოდნელად გამოჩანდა, დეე ისე მოულოდნელად ვე გაქრეს. ჩვენ მაგისთანების დაცემა მაინცა და მაინც ბევრ ცრემლებს არ დაგვაღვრევინებს... პარტიულ თუ სახელმწიფო მუშაობაში ჩაბმა, ბოლოს და ბოლოს ყველას თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს ხოლმე. ასე

მოუვა ჩვენს სალომესაც.—მე ამაში ეშვი არ მეპარება... მე ამ ჟამად მაკვირებს და მაწუხებს გოგი თავის ახირებული ქცევით!.. გოგი,—ეს ჩვენი ძველი მუშა, ბრძოლაში გამოჩარხული ძველი კომუნისტი, სიყრმიდანმე შეზრდილი ჩვენი ძველი საყვარელი მეგობარიც რომ სრულებით შეიცვალა!.. გოგი შეიცვალა არა მარტო ჩვენთვის თავისი პირადი განწყობილებით, იგი შეიცვალა მუშაობაშიც; მისი წინანდელი მუშაობის ენერგია სრულებით გაქრა... თუ რამეს აკეთებს ეხლა თავის მდივნობით, აკეთებს უხალისოთ, უგულოთ, ინერციით, რომელიც არ არის ძველებურად ნაყოფიერი.

— ასე იცის, ძმავ, სიყარულმა... არ გაგიგონია შენ სიყვარული აბრმავებს ადამიანსო!.. სიყვარული თავის დაღს ასვამს ფილოსოფოსს, მეცნიერსა! სიყვარული ჰბოჭავს, ქედს ახრევინებს, მოხუცებულებსაც კი... სიყვარული სცვლის ადამიანს...

— არა. ეს ტყვილია! საღი სიყვარული კი არ აბრმავებს ადამიანს, პირიქით უხელს იგი მას თვალს. ადამიანის სულს, ადამიანის რევოლიუციონურ მისწრაფებებს და საზოგადო საქმისადმი სიყვარულს კიდევ უფრო აძლიერებს იგი.

—... საღი სიყვარული!.. და გჯერა შენ მერე, რომ აქ არის საღი სიყვარული??

— ჰო და, უბედურებაც იმაშია, რომ აქ მათ შორის ერთმანეთის გაგებაზე აგებულ გულწრფელი გრძნობებით შეკავშირებას ადგილი არა აქვს, არ არის აქ მათში ერთი მეორის გამომცნობი ორი პირის ერთმთლიან პიროვნებათ გარდამქმელი სულის ძლიერი ძაფები... არ არსებობს საღი სიყვარული!.

— ... მაინც რაში ხედავ შენ აქ შეუფერებლობას, სიყალბეს?

— იმაში, რომ სალომეს სრულებით არ უყვარს გოგი. სალომე ეშმაკობს... მე მართალი გითხრა, ასეთ საგნებზე ლაპარაკი საერთოდ არ მეხერხება, არც მიყვარს, მაგრამ როცა გულში შემაწუხებელი, უსიამოვნების მომყენებელი რამე მაქვს შეპრილი

და იმისი ამოღება-გადმოშლა ჩემს რამოდენიმეთ დამშვიდებასთან ერთად ამხანაგებისთვისაც გაკვეთილათ შეიქნება,—უნდა ამოვიღო გულიდან, ის უნდა ვსთქვა... მე მქონდა შემთხვევები დავრწმუნებულიყავ, რომ სალომეს აქ პირდაპირი პირადი ინტერესები ამოქმედებს... არა თუ აქ, მე მეეჭვება, რომ ასეთი პირადი ანგარიშები ამოქმედებს პოლიტიკურ-იდეურ მუშაობის დროსაც...

თუ სალომე ჩვენზე მეტი პატივისცემით და თფილი გრძნობებით ექცევა გოგის—ეს გამოწვეულია არა მისი გოგისადმი სიყვარულით, არამედ იმით, რომ მან, როგორც მისი თაყვანის მცემელმა, უკრიტიკოთ დანდობილი მასზე, ისარგებლოს მით, გამოიყენოს ის საკუთარი ზრახვების იარაღათ, რასაც აღწევს კიდეც უკვე... აქ მათი დამოკიდებულების კვანძი კიდევ იმით რთულდება, რომ გოგი ვერ ხედავს, ვერ ამჩნევს ყოველივე ამას, ხოლო თვით სალომე კი არ ცდილობს დაანახვოს, აგრძნობინოს, პირიქით უმალავს, განგებ აფარებს ხელს ამ გარემოებას.

— ...ნუ თუ მართალია ყოველივე ეს!.. მე კი მეგონა, რომ სალომესაც ისევე უყვარდა... თუ არ უყვარს, რატომ აბა სულ მუდმივათ გოგისთან ვხედავთ!?.

— ეს ნამდვილია, ძმავ! —„არასოდეს მე გოგის ცოლი არ გავხდები!" ამბობს თურმე ამას სალომე ხშირათ თავის მახლობელ მეგობარ ქალებში... რამდენათ მჯერთალია მე არ ვიცი, მაგრამ როგორც ამბობენ იგივე მასი მეგობარი ქალები, სალომე ვღაც მაღალ საპასუხისმგებლო პოსტზე მდგომ კომისარს მიყვება ცოლათ...

— ... საწყალი გოგი; იგი კი ისე ევლება თავზე სალომეს, ისე კი არის გატაცებული მით, რომ ირგვლივ ვერაფერს ვერ ამჩნევს მის გარდა.. იგი მზათ არის ჩვენ ყველა ერთად აღებული გაგვცვალოს სალომეში... საწყალი გოგი.

— აი აქ არის საჭირო ბრძოლა, რომ მოსალოდნელი სამწუხარო შედეგი, როგორმე აშორებული იქმნას თავიდან...

— .... ბრძოლა კი, მაგრამ როგორ?... უნდა ჩაეერიოთ მათ კერძო ცხოვრებაში? გვაქვს კი მერე ამის უფლება?!. როგორ იმოქმედებს მერე ეს გოგიზე?!. გახსოვს ერთხელ ამ საგანზე გაკკრით ლაპარაკის დროს გოგიმ რა გვითხრა: „კარგი, დაანებეთ ამ სალომეს თავი!. თქვენ იმიტომ შეიძულეთ სალომე რომ იგი ყველა თქვენზე უკეთესათ მუშაობს,—ეს ერთი; მეორე,—მან „უბედურმა" მარტო ერთს მე შემოხვედა კარგი თვალით, ჩემთან დაიჭირა ახლო კავშირი და არა თქვენთან... ვიცით, ვიცით რა ღვარძლიანი და შურიანია აქ ამ შემთხვევაში განურჩევლათ ყველანი... წინათ ხომ თქვენ ყველანი ერთი ხმით აქებ-ადიდებდით მას ეხლა ისე როგორ შეიცვალა, რომ არც ერთ მის საქმიანობაში დადებითი აღარაფერია. მაგრამ ეს ასეა ხოლმე, როცა არ არის ადამიანი ადამიანის წყალობელი, აქ მასში მარტო ნაკლულევანებას ხედავენ. დადებითი, მოსაწონი მხარე მათთვის დაფარულია".—აი გოგის მწყავე სიტყვები ჩვენს წინააღმდეგ მომართული მაშინ, როცა იძულებული ვიყავით სალომეს შევხებოდით, დაგვეხასიათებია იგი ისე, როგორიც არის...

— ჩვენ არ გაუწევთ ანგარიშს გოგის „ეშვით" ლაპარაკს... ჩვენ, ამხანაგებს, პარტიულ ამხანაგებს გვაქვს უფლება ჩაეერიოთ პარტიული ამხანაგის კერძო ცხოვრებაში, თუ კი აქ იქნება მოსალოდნელი პარტიის წევრის გაუფრთხილებლობა—დაუფიქრებლობით პარტიული თუ სახელმწიფოებრივ მუშაობიდან მოწყვეტა.

— ჰო, ეს კი მართალია. ჩვენს რაიონში პარტიულ მუშაობას უკვე დაეტყო შექმნილი ატმოსფერის სიმძიმე... ორგანიზაციული მუშაობა შენელდა, შესუსტდა...

7

რაიონულ კომიტეტში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგების ყურადღება მთლიანათ სალომემ და გოგიმ მიიპყრო. იმის ნაცვლათ, რომ შექმნილ მდგომარეობიდან ამოეყვანათ სალომე და გოგი, გაეწმინდათ ატმოსფერა, გაეჯანსაღებინათ ორგანიზაცია რკინის დისციპლინაში ჩამოსხმული კოლლეკტიური მუშაობით, გამოდიოდა თითქო, რომ ისინი კიდევ უფრო აძლიერებდნენ ერთმანეთის გაუგებლობას და გაუტანლობას, უფრო ასუსტებდენ პარტიულ მუშაობას ტ პირიქით უმთავრესი მიზეზიც ხდებოდენ ორგანიზაციის დაშლადანგრევისა.

დღეს აღნიშნულ რაიონში ყველა ლაპარაკობს და სჩივის იმაზე, რომ პარტიული მუშაობა შენელდა, დისციპლინა ხსენებულ რაიონის პარტიის წევრებში დაეცა... რაიკომთან შეკავშირებულ პარტიულ მასსას არ ეჩვენება ხელმძღვანელის ხელი. ხშირია შემთხვევები, რომ მთელი თვის განმავლობაში ზოგიერთი იაჩეიკის სხდომა სრულებით არ სდგება,—იმათი არსებობა ხხოლოთ ქალაქლზეა აღნიშნული. ეს ყოველივე რაიპარტკომის წევრებს არც კი მოეხსენებათ; თუ იცის ეს ვინმემ მათში, ისიც იმდენათ არის გართული სხვა „საქმეებში", რომ ის ხსენებული დეფექტების გამოსასწორებლათ თავს არ იტკივებს.

გარეშე მაყურებელი ამხანაგების აზრით,—რაიპარტკომის წევრები შინაგან კინკლაობას უნდებიან მხოლოთ და ორგანიზაციულ-შემოქმედებითი მუშაობისთვის მათ დრო აღარ რჩებათ.

ეს ამბავი აღწევს მაღლა მდგომ ორგანიზაციის—№-ს კომიტეტის ყურებამდის.

—... როგორი კარგი რაიონი, კარგი რაიპარტკომი იყო წინათ და როგორ ჩამორჩა ეხლა!—მწუხარებით აღნიშნავენ კომიტეტის წევრები.

—... ჰოო; არას დროს იქ არავითარი ადგილი არა ჰქონია კინკლაობას, რომელიც სხვაგან სჭამს, ინელებს პირდაპირ ორგანიზაციებს... მეგობრული ჰარმონიით მიმდინარეობდა იქ მუშაობა, — განაგრძობენ ისინი.

—... როგორც ამხანაგები გადმოგვცემენ, ტაქტიკურ უთანხმოებას არა აქვს თურმე ადგილი; ყველაფერი აშენებულია პირად სიმპატია—ანტიპატიებზე და ანგარიშებზე...

— აბა როგორ გეგონა შენ,—პრინციპიალურ და ტაქტიკურ განსხვავებას ადგილი არც სხვაგან ჰქონია. ის, რისიც მოწამე ჩვენ გავხდით აქა თუ იქ, ყოველგან ასეთ პირად ანგარიშებს და სიმპატია—ანტიპატიას ჰქონდა ადგილი... არაფერს სხვას,—ამაში მე ღრმათ დავრწმუნდი!..

—... წარსულს თავი დავანებოთ ამხანაგებო და აქ კი ეხლა საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რომ მთლათ მიწასთან არ გასწორდეს ორგანიზაცია... საჭიროა ყველა მოინტრიგანო ელემენტების მოხსნა მოშორება იქიდან; საჭიროა გენერალური გაწმენდა, ძირითადი შეცვლა რაიპარტკომის მთელი შემადგენლობისა!..

№ კომიტეტმა სასწრაფოთ გამოიწვია რაიპარტკომის წევრები და მოსთხოვა მათ ცალ-ცალკე შექმნილ „ამბების" შესაფერი ახსნა განმარტება.

№ კომიტეტი შეეცადა გამოეძებნა აქ ამ „ამბის" წარმომშობი სწორი მიზეზები, რომ ხელდასადებათ გამხდარიყო მათთვის „ამბის" მონაწილე და „ავტორი" ამხანაგები; მაგრამ ეს ერთობ ძნელი შეიქნა, რადგან ორი ერთი მეორის უარმყოფი, ორ სხვა და სხვა მხარის ინფორმაცია იბრძოდა შექმნილ „ამბების" გასაშუქებლად.—

— მოდი და გამოიცანი შენ ეხლა, რომელი მხარე ამბობს მართალს, და რომელი სტყუის!?.—ეუბნებიან ერთმანეთს ბრაზ მორეული კომიტეტის წევრები.

ხ. თადაკვაძე.

(დასასრული იქნება).

პარტიული ცხოვრება

ყველა რაიკომეგს და კომუნისტური ახალგაზრდოგის კავშირის თბილისის კომიტეტს.

ცირკულიარი № 180.

დებულება კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრების საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრებათ მიღების შესახებ.

1. ყოველი ახალგაზრდა 20 წლამდის, შეიძლება მიღებულ იქნეს პარტიაში მხოლოდ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის საშუალებით, რომლის წევრათაც იგი ითვლება.

2. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრთა საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრად მიღებისათვის არსდება შემდეგი წესი:

ა) საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის იმ წევრს, რომელსაც სურს შევიდეს საქართველოს კომპარტიაში, შეიქვს, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის იაჩეიკის საშუალებით, განცხადება სათანადო რაიონულ კომიტეტში კ. ა. კ., იაჩეიკის დასკვნით.

ბ) განცხადების მიღების შემდეგ, კ. ა. კ. კომიტეტი არკვევს საკითხს, თუ რამდენათ გამოსადეგია მისი კომპარტიის წევრად გახდომა, და იმ შემთხვევაში თუ ამაზე დადებითი პასუხი იქნა გაციმული, ხსენებულ განცხადებას უგზავნის კომპარტიის (ბ) რაიკომს, იაჩეიკისა და თავისი დასკვნითა და საწევრო ბილეთით. ხოლო განცხადების შემტანი ამხანაგი ამ დოკუმენტებთან ერთად ადგენს, რეკომენდაციების იმ რიცხვს, რომელიც განსაზღვრულია პარტიის მე-11 ყრილობის მიერ. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის კომიტეტის დადებითი დასკვნა უდრის ერთ რეკომენდაციას.

გ) რაიკომი განიხილავს, რა კ. ა. კ. კომიტეტის დასკვნას და გასინჯავს რა რეკომენდაციებს, გამოიტანს თავის ამა თუ იმ დადგენილებას, რაიც შეტანილ უნდა იქნეს საწევრო (კავშირის) ბილეთში.

დ) საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრების საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრად ჩარიცხულთათვის, წესდება საკანდიდატო სტაჟი (იხ. მუხლი მე-6 მე-11 ყრილობის რეზოლიუციებისა „პარტიის გაძლიერებისა და ახალი ამოცანების შესახებ); ამასთან კომ. ახალ. კავშირის წევრად ყოფნის დრო პარტიულ სტაჟში არ ჩაითვლება. ინტელიგენტთა წრიდან კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის პარტიაში ჩარიცხვისათვის აუცილებელია თბილისის კომიტეტის დამტკიცება. (დასტური).

5. კანდიდატობიდან პარტიის ნამდვილ წევრად გადარიცხვა სწარმოებს იმ საერთო საფუძვლით, რომელიც განსაზღვრულია მე 11 პარტიული ყრილობის მიერ.

თბ. კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**
ორგანიზაციული განყოფილების გამგე—**რუბენი.**

ყველა რაიკომეგს.

ცირკულიარი № 181.

3 სექტემბერს კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალი მართავს მე 8 საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს. იმპერიალისტური ომის დღეებში, მის საწინააღმდეგო პროტესტის ნიშნად, შეგნებულ ახალგაზრდობის მიერ დაწესებულმა ამ დღემ, ითამაშა მნიშვნელოვანი როლი სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა შორის საერთაშორისო კავშირის გამოცოცხლების საქმეში. ახალგაზრდობის დღე შეიქნა მუშათა ახალგაზრდობის ფართო წრეებში მსოფლიო რევოლიუციისა და კომუნიზმის ბროპაგანდის დღეთ.

მე-8 საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე ტარდება შემოტევაზე გადმოსული კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ. ამ ბრძოლას ევროპის მუშათა ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ახალგათრდობა განიცდის განსაკუთრებით მძიმე ეკონომიურ ჩაგვრას და სდგას ხავსებითი გაღატაკების საფრთხის წინაშე. ამ დღეს პროლეტარული ახალგაზრდობა ახდენს თავისი საერთაშორისო ხოლიდარობის დემონსტრაციას და აშკარად აცხადებს თავის გადაწყვეტილებას ებრძოლოს ბოლომდის თავის კლასიურ მტერს მუშათა კლასის გასამარჯვებლად.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი, როგორც ერთ-ერთი ხექცია კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალისა მონაწილეობას იღებს ამ დემონსტრაციაში. 3 სექტემბერს თბილისში, მუშათა ახალგაზრდობა, კომ. ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელობით დღეახწაულობს მე-8 საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებსა და იაჩეიკებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ახალგაზრდობას ამ დღის ჩატარებაში.

რაიონებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დღეასწაულის მოწყობაში.

1 სექტემბერს ერთიანი პარტიული დღის წესრიგში დაიხვას საკითხი „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შესახებ".

თბილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**
საორგანიზაციო განყოფილების გამგე—**რუბენი.**

კომპარტიის თბილისის მაზრის კომიტეტი

წინადადებას აძლევს პარტიულ რიგების გადასასინჯათ მობილიზაციაში მოყოლილ ამხ. მინასიანს, მესხს, ლ. მუხიშვილს, ლ. მიქაძეს, ჯავახოვს, კობალაძეს, ამირაგოვს, ქაჯაიას, ვ. ლეფავას და ჯანელიძეს, პარტიულ დისციპლინის ძალით გამოცხადდნენ თბილისის მაზრის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში პარასკევს 25 აგვისტოს პარტიულ კვირის ჩასატარებლად, და ახალგაზრდა კომკავშირის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად დირექტივების და თეზისების მისაღებათ.

თბ. მ. კ. მდივანი, იგივე საორგანიზ. განყ. გამგის მაგიერ **თ. ადამიძე.**

მგეჯდავთა შორის.

მგეჯდავთა გაერთიანებულ კომიაჩეიკაში მიმდინარე თვეში მეცადინეობა სწარმოებდა რეგულიარულად. 83 კაციდან საშუალოდ ესწრებოდა მეცადინეობას 60 კაცი; რომლებიც არ ესწრებოდენ, ამათში უმეტესი შვებულებაში იყვნენ.

იაჩეიკის სამ მორიგ სხდომებზე, ორგანიზაციულ და სხვა საკითხების გარდა მოსმენილ იქნა 4 მოხსენება: 1) ერთიან ფულის ნიშნებზე, 2) საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 3) რუსეთის კომპარტიის პარტიულ კონფერენციის შუშაობის შესახებ და 4) დამშეულთა დამხმარე კომიტეტის შესახებ.

ყველა ჩამოთვლილმა მოხსენებებმა გამოიწვიეს დიდი ინტერესი. პირველი დ მეორე საკითხის შესახებ იაჩეიკამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია, სახელდობრ: ერთიან ფულის ნიშნების გამოშვებას იაჩეიკა სთვლის აუცილებლად, ვინაიდან საფინანსო საკითხის მოუწესრიგებლად მას ვერ წარმოუდგენია ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ნამდვილი ფედერაცია. ამავე დროს იაჩეიკა აღნიშნავს, რომ ერთიან ფულის ნიშნების რეალურად გამოყენებასა და მანეთის კურსის განმტკიცებისათვის აუცილებელია, რათა ამიერ კავკასიის რესპუბლიკებმა ანგარიში გაუწიონ მტკიცე ბიუჯეტს და ამ რიგად ბიუჯეტთან შეფარდებით გამოუშვან ემისიები.

იაჩეიკას აგრეთვე აუცილებლად მიაჩნია ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის სწორი საქონლის—გაცვლა-გამოცვლის დაწესება.

მეორე მოხსენების გამო, დამშეულთა დახმარების შესახებ იაჩეიკამ დადგინა დასვან კავშირში საკითხი, დამშეულთა სასარგებლოდ პროცენტების გამორიცხვის განახლებისათვის კომპანიის გატარების შესახებ.

იაჩეიკაში სწარმოებს დიდი მუშაობა მუშების კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მოხსენებები იკითხება საკმაოდ სადა ენით უპარტიოთა და მბეჭდავების ახალგაზრდათა კომკავშირების თანადასწრებით; მოწყობილია პოლიტიკური განათლების წრეები, სადაც მეცადინეობა სწარმოებს ყოველ კვირაში საშშაბათობით.

მოწყობილია აგრეთვე დახმარების იაჩეიკა, სადაც ეწერებიან უპარტიო მუშები.

მიმავრებული იაჩეიკის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები მუშაობენ წესიერად.

კორ.-ინფორმატორი **ტ. ხარაზიანი.**

საზღვარ მეურნეობა

მოსავალი ბორჩალოს მაზრაში

გაზაფხულის პირველი ნახევარი მეტად ხელის შემწყობი იყო მინდვრის მუშაობისათვის. მიწები თავის დროზე დაიხნა და დაითესა. მხოლოდ სიმინდის თესვამ გასტანა მაისის 1 მდე. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბევრს სოფელს სათესლე სიმინდი არ ჰქონდა და მას სთესავდა თესვის კომისიისაგან სათესლის მიღების კვალად. ზამთრის ნათესებმა თავიდანვე კარგი ტანი აიყარეს და შემდეგ აგრეთვე კარგი თავთავი დაის ხეს. გაზაფხულის ნათესაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ გაზაფხულის მეორე ნახევარში წვიმა თითქმის აღარ მოსულა, რის გამოც ნათესების ზრდა შეჩერდა და მოსავალი შემცირდა. ამ გვალვამ განსაკუთრებული გავლენა იქონია „გომბორის" ხორბალზე რომლის მოსავალიც მაზრის მთელს დაბლობ ადგილებში ცუდია, ამ ხორბლით დათესილ მიწების სივრცე საერთოდ მცირეა. გაზაფხულის ნათესების მოსავალი საერთოდ საშუალოა ზამთრის ნათესების მოსავალი კი—საშუალოზე უკეთესია. ზამთრის ნათესების სივრცე ბევრად აღემატება გაზაფხულის ნათესების სივრცეს. წელს ნათესების სივრცე ბევრად დიდი იყო, ვიდრე შარშანდელი. ზოგიერთს სოფელში ერთი მტკაველი სარწყავი მიწაც არ დაუტოვებიათ დასასვენებლად. წელს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიმინდის დიდი პლანტაციები, რომელმაც უზარმაზარი ტანი აიყარა და კარგის მოსავლის იმედს იძლევა.

ცუდია მხოლოდ კართოფილის მოსავალი. ივნისის პირველ ნახევარში წვიმები ხშირი იყო, რაიც დაბლობ ადგილებში პურის დაბინავებას ხელს უშლიდა მთის კალთებში კი ამავე წვიმამ კართოფელი გააფუჭა, რომელიც ბლომად იყო დათესილი.

ვენახის მოსავალი პირველად კარგს იმედებს იძლეოდა, მაგრამ უკვე გამოირკვა, რომ ეს მოსავალი საშუალოზე მცირე იქნება, რადგანაც გამუდმებულმა წვიმებმა, რომელიც სამის კვირის განმავლობაში მოდიოდა, ხელი შეუშალა ვაზის წამლობას, რის გამოც ვაზს სენი (მილდიუში) გაუჩნდა.

სეტყვისაგან დაზარალებული ნათესები ყველგან გამოკეთდა გარდა რამდენიმე სოფლისა. საერთო თუ გადავავლებთ თვალს ბორჩალოს მაზრას, უნდა ვსთქვათ, რომ მოსავალი ყველგან საშუალოა, ზოგს რაიონში კი—საშუალოზე უკეთესი.

პროვინციაში

ძ. ხაშური

1922 წ. 13 აგვისტოს ქ. ხაშურში მოწვეული იყო ხაშურის რაიონის მიტინგი. სამი დღით ადრე ჩვენ ქუთაის-დან მივიღეთ ცნობა, რომ აქ ბუდუ მდივანი ჩამოვა კვირისთვის და მოემზადეთო. სათანადო ცნობა იმ დღესვე დაეგზავნა ყველა თემებს, რათა რაც შეიძლება ფართო მასა დასწრებოდა მიტინგს. 13 აგვისტოს დღის 12 საათზედ სოფლებიდან მოსული დიდძალი გლეხობა, ხაშურის დეპოსთან რკინის გზელი მუშები და სურამში მდგომი წითელი კურსანტები რევოლიუციონურ სიმღერებით და მუსიკით გაემართენ წითელ მოედანზედ, სადაც გამართული იყო ტრიბუნა. სრულ 1-ლ საათზე ტრიბუნაზედ ადის რაიკომის პასუხის მგებელი მდივანი ამხ. ბოკერია და რაიკომის სახელით მიტინგს გახსნილად აცხადებს. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. მიტინგის თავმჯდომარე აუწყებს კრებას, რომ გენუის და ჰაიგის კონფერენციის შესახებ მოხსენებას გააკეთებს გენუის კონფერენციის წევრი ამხ. ბუდუ მდივანი. ტრიბუნაზედ ჩნდება ამხ. ბუდუ. ხალხი მას მხურვალე ტაშით ეგებება. ამხ. ბუდუმ გასაგები და მოწესრიგებული ენით დაახასიათა სულმობრძავი კაპიტალისტური ევროპის და ახალგაზრდა ბრწყინვალე მომავლის მქონე საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობა. მომხსენებელმა დიდხანს შეჩერდა გენუის და ჰაიგის კონფერენციის მსვლელობაზე: ამხ. ბუდუმ ხაზ გასმით განაცხადა, რომ გენუის კონფერენციიდან გამარჯვებული ყოველ მხრივ გამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, დანარჩენი ბურჟუაზიულ დელეგატები პირში ჩალა გამოვლებული დარჩნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. ბუდუს მოხსენება ძალიან გაგრძელდა, ხალხი მაინც გულდასმით უსმენდა მას. მოხსენების შემდეგ ამხ. ბუდუს მისცეს ერთი და იმავე ხასიათის შეკითხვები. შეკითხვა ასეთი შინაარსის იყო:

გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება ხომ არ ვრცელდება საქართველოზე; რატომ არ ქმნით ქართველ ჯარს; რატომ არ გაყავს რუსეთს საქართველოდან წითელი ჯარი; თქვენ ამბობთ სიკვდილის პირზე არის ბურჟუაზია, აგვიხსენით რას ნიშნავს თქვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სხვა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს შეკითხვები დაწერილი იყო ერთი კაცის მიერ. ყველა პროვოკატორულ შეკითხვებზე ამხ. ბუდუმ შესაფერი პასუხი გასცა. შემდეგ სიტყვას თხოულობს ვინმე ამბროსი ეგნოიძე, რომელიც კითხულობს ადრე დაწერილს დიდ მენშევიკურ დეკლარაციას, მაგრამ ისე სუსტათ, ისე დაბნეულათ და დაბალის ხმით, რომ კაცს ეგონებოდა თავისთვის ბოდავსო. ხალხი არ ისვენებდა: „ძირს, ძირს, ზიზღი მოღალატე მენშევიკებს", ისმოდა ყოველ მხრიდან და აწყვეტინებდენ სიტყვას ბატონ ამროსის. მენშევიკი ამროსი მაინც არ ჩამოდის ტრიბუნიდან, ხალხი თანდათან ღელავს, თავმჯდომარე აშოშმანებს ხალხს, მაგრამ ხალხი არ ისვენებს და მოითხოვს მის ძირს ჩამოგდებას. ტრიბუნაზე ადის ამხ. ბუდუ. ის თხოვს მიტინგს მოუსმინონ მენშევიკ ამროსის. ამროსი განაგრძობს „დეკლარაციის" დაბნეულ კითხვას, რომელშიც აცხადებს, რომ ახლანდელი სასურსათო გადასახადი მოგვაგონებს ჩვენ ბატონ-ყმობას. ამის გაგონებაზე ხალხი ერთობ ღელავს, გაისმის: ზიზღი მენშევიკებს, პროვოკატორებს და მოღალატეებს. თავმჯდომარე მიტინგს აშოშმანებს. ვაკბატონი ამროსი კითხულობს მოთხოვნებს: გაიყვანეთ რუსის ჯარი, გამოუშვით პოლიტიკური ტუსაღები და სხვა. ხალხი მას ზიზღის ძახილით ისტუმრებს ტრიბუნიდან. საპასუხოდ გამოდის ამხ. ბუდუ, რომელმაც თავისი კრიტიკით ქვესკნელში გაატარა როგორც მენშევიკი ამროსი, ისე საერთოდ მენშევიკების მთელი არგუმენტაცია. ყველა საკითხზე ბუდუს მიერ პასუხის გაცემა იწვევდა ხალხში აღფრთოვანებას და მქუხარე ტაშს. ვაშას ძახილით აჯილდოებენ ამხ. ბუდუს სიტყვებს. შემდეგ სიტყვას ღებულობს ამხ. ობოლაძე, რომელიც აცხადებს საქართველოს ახალგაზრდა წითელი ჯარის სახელით, რომ ტყვილია, ვითომ ჩვენ არ ვადგენდეთ წითელ ჯარს, ჩვენ უკვე შეუდექით წითელი ჯარის შედგენას და როდესაც საჭირო იქნება, დავამტკიცებთ, რომ ამ მხრივაც არ ვყოფილვართ გულზე ხელდაკრეფილები. ამხ. ობოლაძე ათავებს და ამბობს, გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს. ამხ. ობოლაძის სიტყვა თავდება ტაშის ცემით და ინტერნაციონალის სიმღერით. შემდეგ ტრიბუნაზე ადის რკ. გზის ძველი მუშა ამხ. გელაშვილი, რომელიც აცხადებს: „მე არ ვიცი რომელი ხაშურის მუშების სახელით გამოდის აქ ბატონი ეგნოიძე, მე ვაცხადებ ხაშურის მუშების სახელით, რომ ეგნოიძე სრულებით არ არის ხაშურელი მუშა და ხაშურის მუშები მას არ იცნობდენ". შემდეგ ამხ. გელაშვილი ლაპარაკობს ნამდვილ მუშურათ და ახასიათებს მენშევიკების მოღალატეობას.

ამხ. გელაშვილის შემდეგ არავინ ლაპარაკობს. კრების თავმჯდომარე აცხადებს: „რადგან მეტი სიტყვა არავის სურს და დღის წესრიგიც ამოწურულია, გთხოვთ წარმოადგინოთ რეზოლიუციები ამხ. ბუდუ მდივნის მოხსენების გამო". რაიკომის სახელით ამხ. ქებაძე ადგენს რეზოლიუციას, რომელიც გადის ერთხმათ. თავმჯდომარე მიტინგს დახურულათ აცხადებს საათის 6 ზე. ხალხი ძალზე კმაყოფილი დარჩა ამხ. ბუდუს მოხსენებით და კერძოთ მას სთხოვეს ჩქარ-ჩქარა ესტუმროს ხაშურს.

ხაშურელი მუშა.

მთავრობის მოკავშირეგანი და განკარგულეგანი

დადგენილება № 20.

საქ ს. ს. რეს. შრომის სახალხო კომისარიატისა ზედმეტ მუშაობის შესახებ.

წარმოება-დაწესებულებებში ერთგვარი პრაქტიკის დამყარებისათვის და ზედმეტი სამუშაოს შესახებ აღძრულ საკითხთა გადაჭრის მიზნით შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად ადგენს.

1. სამუშაო წარმოებისა და დაწესებულებაში, რომელიც ადმინისტრაციის წინადადებით სრულდება ნორმალურ სამუშაო დღის გათავების შემდეგ, ითვლება ზედმეტ მუშაობად.

2. ზედმეტი მუშაობა შეიძლება დაშვებულ იქმნეს.

ა) იმ სამუშაოს საწარმოებლად, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივ უბედურების და საშიშროების ასაცდენად.

ბ) ისეთი სამუშაოს საწარმოებლად, როგორიცაა წყალსადენი, ენერგია, კანალიზაცია და ტრანსპორტის საქმე და აგრეთვე ასაშორებლად ყველა შემთხვევითი და მოულოდნელ გარემოებისა, რაც კი მათ წესიერ მსვლელობას ირღვევს.

გ) როცა აუცილებელია დასრულება დაწყებული სამუშაოსი, რომელიც გაუთვალისწინებელ შემთხვევითი დაბრკოლებისა და წარმოების ტეხნიკური პირობების გამო, რომელნიც არ არიან დამოკიდებულნი ადმინისტრაციაზე, ვერ იქმნა დასრულებული ნორმალური სამუშაო დროს განმავლობაში, უკეთუ ამ მუშაობის შეჩერებას შეუძლია გამოიწვიოს მანქანების და მასალის გაფუჭება.

დ) როცა ხდება დროებითი მუშაობა შესაკეთებლად და აღსადგენათ მექანიზმისა და მოწყობილებათა იმ შემთხვევაში, უკეთუ ამათი მოუწესრიგებლობა იწვევს მრავალ მშრომელთა მუშაობის შეწყვეტას.

3. ზედმეტი მუშაობა, რომელიც ნაჩვენებია პარაგრაფებში ა, ბ, გ და დ ხდება წარმოების გამგეობის ორგანოთა განკარგულებით. ეს უკანასკნელნი ზედმეტი მუშაობის შემოღებას შესახებ დაუყონებლივ ატყობინებენ შრომის ინსპექტორს, ხოლო სადაც ასეთები არ არიან,—შრომის განყოფილებას.

4. მე 2-ე მუხლში მოხსენებულ შემთხვევაში ზედმეტი მუშაობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს დღე და ღამეში.

შენიშვნა: სოფლის მეურნეობაში ზედმეტი მუშაობის ნორმები წესდება გმნსაკუთრებული დადგენილებით, რომელიც აწესრიგებს მშრომელთა სამუშაო დროს სოფლის მეურნეობაში.

5. ზედმეტ სამუშაოზე არ დაიშვებიან ის პირნი, რომელთაც არ შესრულებიათ 16 წელი.

6. ზედმეტი მუშაობისათვის გასამრჯელო ეძლევათ ყველა მუშა-მოსამსახურეებს პირველ ორ ზედმეტ საათში ერთნახევარჯერ მეტი რაოდენობით ჩვეულებრივ სატარიფო საათთან შედარებით, ხოლო შემდეგ საათებისთვის აგრეთვე უქმე დღის და ღამის მუშაობისათვის-ორმაგად.

შენიშვნა: გასამრჯელო ეძლევა მხოლოდ იმ ზედმეტი მუშაობისთვის, რომელიც ხდება სამუშაოს ხელმძღვანელთა ჩვენებით. იმ სამუშაოსთვის, რომელსაც მშრომელი შეასრულებენ ზედმეტ საათებში თავის ინიციატივით და სამუშაოს ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშე, გასამრჯელო არ მიეცემათ.

7. იმ მუშა-მოსამსახურეთ, ვინც ნაკრობით მუშაობს ზედმეტ მუშაობისთვის გასამრჯელო მიეცემა პირველ ორ ზედმეტ საათში ერნახევარჯერ მეტი, ხოლო შემდეგ საათებისთვის, ღამის და უქმე დღის მუშაობისთვის, დაწესებული ქირის ორმაგი რაოდენობა. თუ მუშამ იცის ნაკრობით და საკორდო სამუშაოს დაწყების წინ, რომ სამუშაო უნდა სრულდებოდეს აგრეთვე ზედმეტ საათებში, არავითარი დამატება ჩვეულებრივი ფასის ზევით არ დაიშვება.

8. შესრულებულ ზედმეტ მუშაობათა გასამრჯელოს უწყება აუცილებლად უნდა იქმნეს დამტკიცებული პროფესიონალურ კავშირის მიერ. თუ უწყებას არ იქმნა პროფესიონალური კავშირის ვიზა, ზედმეტ სამუშაოთათვის გასამრჯელოს მიცემა არას გზით არ დაიშვება

9. დაწესებულების ან წარმოების ზედმეტი მუშაობა ორგანოთა გამგეობის მიერ უნდა იქნეს შეტანილი განსაკუთრებულს ზედმეტ მუშაობის ჩასაწერ წიგნში.

10. ამ დებულებათა გამოქვეყნებით უქმდება ამავე საკითხის შესახებ ყველა წინად გამოცემული დადგენილებანი და სხვ.

11. დადგენილება ეს შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

შეთანხმებულია: პროფკავშ. საბჭოს მდივანი **კ. ოდელავაძე.**

შრ. სახ. კომ. შრომის დაცვის განყოფილების გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

საქმიანი ბიულეტენი

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—28)

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის შტოს

გამყვანი

კანტორა

აცხადებს, რომ ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზაზე ხელოვნური მოწყობილებათა აშენება გაცემულ იქნება იჯარით. ამ მოწყობილებათა ნაშენობის არე იქნება დაახლოვებით 300 კუბ. საჟ.

იმ პირთ, ვისაც სურთ თავს იდვან ამ მოწყობილებათა აშენება, უნდა შეიტანონ ოზურგეთის კანტორაში განცხადება 25 აგვისტოს არა უგვიანეს 12 საათისა; მუშაობის ერთეული ღირებულების აღნიშვნით.

განცხადების ბლანკი მიეცემათ ქ. ოზურგეთის კანტორაში.

№ 20. 2—2

გაზეთის ტრესტის პროვინციალური კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში.

(0—7)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

საამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიზეიულ გიდევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—20)

ჟურნალისტების ცეხი

ორშაბათს, 28 აგვისტოს, მუშათა სასახლის ზევითა დარბაზში რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტი—მე-5 სართული.

გაიმართება ჟურნალისტების ცეხის წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. მოხსენება დროებითი ბიუროს მუშაობის შესახებ; 2. ახალი ტარიფი; 3. მომავალი მუშაობის გეგმა; 4. მუდმივი ბიუროს არჩევნები; 5. მიმდინარე საკითხები.

კრების დასაწყისი დილის 11 საათზე.

თუ ამ დროისათვის ქვორუმი არ იქნა, მეორე კრება გაიხსნება 12 ს., რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

2—1

დაიკარგა ქალაქის გამგეობის მიერ დადებული ხელშეკრულება ბაღდაშვილთან 1918 წ. 29 ივნისს 277 შესახებ ქალაქის მიწისა ნაძალადევში, ჩაითვალოს გაუქმებულად.

(372—1—1)

დაიკარგა მოწმობა № 12,598 ლაზარე ივანეს ძე კარატიანის სახელობაზე.

№ 268. 2—2

ტირაჟი 10,000. ს. ფ. ს. ფ. საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, ერუზენშტეინის ქ. № 4.